

პრაქტიკული  
სახელმძღვანელო  
ფერმიერებისთვის



მიიღეთ უკეთესი ფინანსური  
გადაწყვეტილებები

როგორ გავაკეთოთ სწორი ფინანსური  
არჩევანი ჩვენი აგრობიზნესისთვის

## სახელმძღვანელოს შესახებ

ეს ბროშურა მომზადდა სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების დასახმარებლად, რათა მათ მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა საფინანსო პროდუქტისა და დაფინანსების წყაროს შესახებ. ეს ინფორმაცია დაეხმარება ფერმერებს, მათი ბიზნესის საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეარჩიონ ყველაზე შესაფერისი საფინანსო პროდუქტი და მიიღონ სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები.

თუ თქვენ ხართ ფერმერი, რომელსაც საკუთარი აგრობიზნესისთვის სჭირდება დამატებითი ფინანსები, რათა იყიდოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, დააფინანსოს საბრუნავი კაპიტალი ან ფულის დაბანდების მიზნით შეიძინოს მიწის ნაკვეთი, ეს ბროშურა საინტერესო იქნება თქვენთვის. მისი დახმარებით თქვენ შეიტყობთ:

- როგორ განსაზღვროთ და შეარჩიოთ ისეთი საფინანსო პროდუქტი, რომელიც შეესაბამება თქვენი აგრობიზნესის მიმდინარე გეგმებსა და საჭიროებებს;
- როგორ შეუდაროთ ერთმანეთს სხვადასხვა საფინანსო პროდუქტის პირობები;
- როგორ შეარჩიოთ შეთავაზებებს შორის საუკეთესო ვარიანტი;
- როგორ განსაზღვროთ, რა მოცულობის სესხია ყველაზე თანაბომიერი თქვენი ბიზნესისთვის;
- როგორ აიცილოთ თავიდან ლიკვიდურობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები;
- როგორ გაზარდოთ თქვენი ბიზნესის კონკურენტუნარიანობა ენერგოეფექტიანი ინვესტიციებით.



EU4Business



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia



**პროექტი დაფინანსებულია „მეწარმეობის აკადემიის“ (Entrepreneurship Academy) მიერ, რომელსაც მხარს უჭერს „ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის“ (EFSE)**

ეს სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ (სიდა) ჩართულობით.

კონცეფცია, მაკეტი და ლითოგრაფია ეკუთვნის IPC-ს და ევროპულ ფონდს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის.

© 2019 ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის

### პასუხისმგებლობაზე უარის თქმა

„ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა (EFSE DF) პასუხს არ აგებს ამ სახელმძღვანელოს შინაარსზე.

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია ევროპის კავშირის მხარდაჭერით ინიციატივის „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ (EU4Business) ფარგლებში.

სახელმძღვანელოში გამოხატული მოსაზრებები არ წარმოადგენს ევროკავშირის პოზიციას.

# სარჩევი

ფერმერობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა .....	4
ოთხი ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე .....	5

## ნაბიჯი 1.

გადაწყვეტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის .....	6
როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ .....	8
დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტი .....	8
დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება .....	10
საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის სესხის აღება ჯობია თუ სასაქონლო კრედიტით სარგებლობა? .....	11
საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის გამოყენებული სხვა ფინანსური პროდუქტები .....	12
როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ .....	13
დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება .....	14
დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: სალიზინგო კომპანიისგან დაფინანსების მიღება .....	14
დაფინანსების სხვა წყაროები .....	16
აგროდამზღვევა .....	17

## ნაბიჯი 2.

შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად .....	18
პრაქტიკული მაგალითი: ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა .....	18

## ნაბიჯი 3.

შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას .....	22
სესხი საბრუნავი კაპიტალისთვის .....	22
სესხი ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად .....	22
სესხი შერეული მიზნობრიობისთვის .....	22
ვალუტის კურსის ცვლილების რისკი .....	23
საპროცენტო განაკვეთი .....	24
რა უნდა გავითვალისწინოთ სესხის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვისას? .....	25

## ნაბიჯი 4.

შეარჩიეთ სესხის გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება .....	29
ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის .....	29
პრაქტიკული მაგალითი: მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა .....	31
პრაქტიკული მაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ბედლის აშენება .....	32
სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ოთხი ნაბიჯი .....	38
მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა .....	39
არ დაგავიწყდეთ, იკითხოთ .....	40
სასარგებლო ბმულები .....	41

# ფერმერობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

საქართველოში, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, აგროსექტორის წარმომადგენლები არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში სტაბილურად 7.8%-დან 10.3%-მდე მერყეობს, ეს დარგი ნაკლებად ეფექტიანია (მაგალითად, საქართველოში ერთ ჰექტარ მიწის ფართობზე ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში). ასეთ დაბალ ეფექტიანობას ძირითადად აგრობიზნესში თანამედროვე ტექნოლოგიების სიძვირე, ერთი პირის საკუთრებაში არსებული სამეურნეო სავარგულების მცირე ზომა და სხვა ფაქტორები განაპირობებს. ფერმერებისთვის რთულია საკუთარი ფინანსური რესურსებით მოახდინონ თავიანთი საქმიანობის მოდერნიზაცია და ამით მისი ეფექტიანობა გაზარდონ.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ევროკავშირისა და დონორი ორგანიზაციების დახმარებით და საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით შექმნა სხვადასხვა მექანიზმი, რათა ფერმერთათვის ფულადი და ტექნიკური რესურსები უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო. აღნიშნულის შედეგად ბაზარზე ახალი მრავალფეროვანი


მომსახურებები გაჩნდა, რამაც, თავის მხრივ, ფერმერთათვის ამ მომსახურებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება წარმოშვა.

ამ ბროშურაში მიმოხილულია ის მომსახურებები, რომლებიც საჭიროა ფერმერის ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებლად. ამ მიმოხილვის მიზანია, დაეხმაროს ფერმერს, მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები. სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის ბიზნესის, განვითარებისთვის ხშირად საჭიროა დაფინანსების მოძიება, განსაკუთრებით კი აგრობიზნესის ისეთი მიზნებისთვის, როგორებიცაა: სასუქებისა და სათესლე მასალის შექმნა, ტრაქტორებისა და კომბაინების განახლება და ა. შ.. ფერმერთათვის დაფინანსების მოძიება ხშირ შემთხვევაში რთულდება, რადგან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შედარებით მაღალი რისკის შემცველია. კლიმატური პირობებით გამოწვეული მცირე მოსავლიანობა და სხვადასხვა დაავადებისა და მავნებლის გავრცელება, რომლებიც მოსავალსა და ცხოველებს ნაწილობრივ ან მთლიანად ანადგურებს, იმ რისკების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას არასტაბილურსა და არაპროგნოზირებადს ხდის.

## ტერმინთა განმარტება:

### ფულადი ნაკადების მოძრაობა:

თანხის შემოსვლა ბიზნესში ან თანხის გასვლა ბიზნესიდან, თანხის „დინება“.



# ოთხი ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაზე

თქვენი ბიზნესის ფინანსური მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი დაგეხმარებათ სწორი ფინანსური გადაწყვეტილება მიიღოთ. მიუხედავად იმისა, ჩართული ხართ მარცვლეულის წარმოებაში, მერქვევობასა თუ სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, აგრობიზნესისთვის საჭიროებების დადგენის პროცესი ყველა სფეროში ერთნაირია და ოთხ ძირითად ეტაპს მოიცავს.

თავდაპირველად, **განსაზღვრეთ**, როგორ მოიპოვებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისათვის. შემდგომ **დარწმუნდით**, რომ თქვენს ბიზნესს აქვს იმ ვალდებულებების გადახდის შესაძლებლობა, რომელთა აღებასაც გეგმავთ. დაფინანსების მოძიებისას **შეარჩიეთ** თქვენი ბიზნესის მიზნებისთვის ყველაზე მეტად შესაბამისი პირობები, სესხის ვადისა და საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით. **შეარჩიეთ** გადახდის ისეთი პირობები, რომლებიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება, რათა ვალდებულების კომფორტულად გადახდა უზრუნველყოფთ. ეს ნიშნავს, რომ სასურველია ვალდებულება იმავე ვალუტით აიღოთ, რომელი ვალუტითაც თქვენი ბიზნესიდან იღებთ შემოსავლებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გადახდის გრაფიკის შედგენისას გათვალისწინებულ იქნას თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობის პერიოდულობა, რათა ვალდებულების დაფარვის პროცესი ბიზნესისთვის უმტკივნეულო იყოს.

ამ ნაბიჯების თანამიმდევრული განხორციელებით თქვენ შეძლებთ სხვადასხვა საფინანსო პროდუქტის უპირატესობები და მასთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები შეაფასოთ და, შესაბამისად, თქვენი ბიზნესის ზრდისა და წარმატებისთვის სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ.

**ნაბიჯი 1**  
გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის;

**ნაბიჯი 2**  
შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად;

**ნაბიჯი 3**  
შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას;

**ნაბიჯი 4**  
შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება.

# ნაბიჯი 1: გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

## რა ტიპის სესხი ან სასაქონლო კრედიტი გჭირდებათ?

აგრობიზნესიც, ნებისმიერი სხვა ტიპის ბიზნესის მსგავსად, საჭიროებს როგორც საბრუნავი კაპიტალის (სათესლე მასალა, პესტიციდები, საწვავი, მომსახურე პერსონალის ხელფასი და ა. შ.), ისე ძირითადი საშუალებების (ტრაქტორი, მიწა, საწყობი და ა. შ.) დაფინანსებას.

ამ თავში ვისაუბრებთ ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო დაფინანსების ისეთ წყაროებზე, როგორებიცაა სესხი და სასაქონლო კრედიტი.

სესხის ტიპს განაპირობებს ის მიზნობრიობა, რომლისთვისაც თქვენ იგი გესაჭიროებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სესხები, როგორც წესი, იყოფა პირადი მიზნობრიობის მქონე სესხად და ბიზნესსესხად. ამ სახელმძღვანელოში განხილული იქნება მხოლოდ ბიზნესის საჭიროებების დაფინანსებისთვის განკუთვნილი სესხის ტიპები — ე. წ. ბიზნესსესხები.

ბიზნესსესხები მიზნობრიობის მიხედვით 2 ტიპისაა: **სესხი საბრუნავი კაპიტალის შესავსებად** (მათ შორის, სასაქონლო კრედიტი) და **სესხი ძირითადი საშუალებებისთვის**. თუმცა, ბიზნესსესხი შეიძლება შერეული მიზნობრიობითაც გაიცეს.

**სესხი საბრუნავი კაპიტალის შესავსებად** ბიზნესს ისეთი შესყიდვების დასაფინანსებლად ესაჭიროება, როგორებიცაა ნედლეული, სათესლე მასალა, საწვავი, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვა და ა. შ..

**სესხი ძირითადი საშუალებებისთვის** ბიზნესს ისეთი ძირითადი საშუალებების შესაძენად ესაჭიროება, როგორებიცაა მანქანა-დანადგარები, მათ შორის, ტრაქტორი, კომბაინი, მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა ან ნებისმიერი ქონება, რომელიც წარმოებაში გამოყენებულ იქნება რამდენიმე წლის განმავლობაში.

**სესხი შერეული მიზნობრიობისთვის** ბიზნესს ესაჭიროება მაშინ, როდესაც მისი განვითარებისთვის ერთდროულად აუცილებელია როგორც საბრუნავი კაპიტალის, ისე ძირითადი საშუალებების დაფინანსება.

## ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნიმუში

მცირე მეურნეობის მქონე ფერმერებისთვის საკუთარი ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი (შემდგომ – საბალანსო უწყისი).

საბალანსო უწყისი ასახავს ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას კონკრეტულ მომენტში. ის გვიჩვენებს რა აქტივებს ფლობს კომპანია, რამდენია მისი ვალდებულებები და რა მოცულობის კაპიტალია დაბანდებული ბიზნესში კონკრეტული მომენტისთვის.

საბალანსო უწყისის მთავარი განტოლებაა: აქტივები = **ვალდებულებას + კაპიტალი**

## ტერმინთა განმარტება:

**აქტივი** — რესურსი, რომლის საფუძველზეც ბიზნესი ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელოს. არსებობს მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები. როგორც წესი, **აქტივი მიმდინარე** მიიჩნევა, თუ იგი 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში გამოიყენება. მიმდინარე აქტივებია: ფულადი სახსრები, მზა პროდუქცია, მარაგები, გაცემული ავანსები, დებიტორული დავალიანებები და სხვა. **აქტივი გრძელვადიანია**, თუ იგი ბიზნესში ერთ წელზე მეტი ვადით გამოიყენება. გრძელვადიანი აქტივებია: შენობა-ნაგებობა, მანქანა-დანადგარი, მიწის ნაკვეთი, ავტომობილი, პატენტი, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშანი, სახელწოდება და ა. შ.;

**ვალდებულებები** — ბიზნესის ისეთი ვალდებულებები, რომელთა დაფარვა ბიზნესიდან ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გაღივებას გამოიწვევს. ვალდებულებებიც, აქტივების შესაბამისად, ორგვარია: **მიმდინარე და გრძელვადიანი**. ვალდებულება მიმდინარე მიიჩნევა, თუ მისი დაფარვა შესაძლებელია საბალანსო უწყისის შედგენიდან 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ვალდებულებებია: მოკლევადიანი სესხები, კრედიტორული დავალიანება (კონსიგნაციით მიღებული ნედლეული, პესტიციდები, სასუქები, საწვავი და სხვა), საგადასახადო ვალდებულებები და ა. შ.. ვალდებულება **გრძელვადიანია**, თუ მისი დაფარვის ვადა 12 თვეზე მეტია. გრძელვადიანი ვალდებულებებია: გრძელვადიანი სესხი შენობის ან დანადგარის შესაძენად, ლიზინგი და სხვა;

**კაპიტალი** — აქტივების ის ნაწილი, რომელიც ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ რჩება. კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლების შენატანს (მფლობელების მიერ ბიზნესში ინვესტირებულ ფულს ან/და ქონებას) და გაუნაწილებელ მოგებას (დამფუძნებლებისთვის დივიდენდების გადახდის შემდეგ ბიზნესის განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს). გაუნაწილებელი მოგება, როგორც წესი, მიმართულია წარმოების გაფართოებისა და გადაიარაღებისკენ.

ქვემოთ მოცემულ საბალანსო უწყისის ნიმუშში ასახულია აგრობიზნესის ფინანსური ანგარიშგება კონკრეტული მომენტისთვის. საბალანსო უწყისში ბიზნესის საკუთრებაში არსებული მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები იწერება მარცხენა მხარეს, ხოლო მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები — მარჯვენა მხარეს.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	3 000	მომწოდებლების ვალი	1 000
ნედლეული (თესლი, პესტიციდები, სასუქები)	500	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	6 000
დებიტორული დავალიანება	5000		
მარცვლეული	15 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>23 500</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>7 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა	45 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	12 000
ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	10 000
შენობა-ნაგებობა	10 500	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>22 000</b>
სხვა აქტივი	0	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>29 000</b>
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	65 000
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>70 500</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>65 000</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>94 000</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>94 000</b>

\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

მოიფიქრეთ, როგორ მიიღოთ დაფინანსება თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

პირველი, რაც საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ: დაფინანსება საბრუნავი კაპიტალის გასაზრდელად მსურს თუ ძირითადი საშუალებების შესაძენად?

# როდესაც საზრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ



თუ აგრობიზნეს საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის საბრუნავი კაპიტალის ან სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაზე


ფიქრობთ, ამისთვის ყველაზე გავრცელებული ორი შესაძლებლობა არსებობს:

1. თუ დაფინანსების მიზანი ნედლეულის თუ სხვადასხვა სახარჯი მასალის შექმნაა, აღნიშნული მასალები პირდაპირ თქვენი მომწოდებლისგან შეიძინოთ სასაქონლო კრედიტის სახით;

2. ფინანსური ორგანიზაციებისგან სესხი აიღოთ და მიღებული თანხით შეიძინოთ საჭირო ნედლეული, გადაიხადოთ მომწოდებლის მიმართ არსებული ვალდებულებები და/ან დაფაროთ სხვა მიმდინარე ხარჯები.

სხვა, შედარებით იშვიათ შემთხვევებში დაფინანსების მოპოვების წყაროა საერთაშორისო დონორების ან ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების გრანტები (საგრანტო რესურსების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა გაიცემა ძირითადი საშუალებების შესაძენად) ან კერძო წყაროებისგან აღებული სესხი.

**დაფინანსების რომელი წყარო შეესაბამება თქვენი აგრობიზნესის საჭიროებებს ყველაზე მეტად?**



## დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტი


**სასაქონლო კრედიტი** შესაძლოა დაფინანსების ძალიან მნიშვნელოვანი წყარო იყოს იმ ფერმერებისთვის, რომლებსაც თავიანთი საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებისთვის საკმარისი კაპიტალი არ გააჩნიათ. მომწოდებლები აგრობიზნესისთვის საჭირო მასალის რეალიზაციას, როგორც წესი, სასაქონლო კრედიტით ან ნაღდი ფულის გადახდის მოთხოვნით ახორციელებენ. ნაღდი ფულის გადახდის შემთხვევაში მომწოდებლები მეწარმეებს ხშირად სთავაზობენ ფასდაკლებებს ან სხვა შეღავათებს, ხოლო სასაქონლო კრედიტით გაცემისას ისინი, ძირითადად, ითვალისწინებენ საშუალო პერიოდებს მოსავლის რეალიზაციამდე. თუმცა, ასეთ შემთხვევაში სასაქონლო კრედიტით მიღებული მასალების ფასები შედარებით მაღალია. მომწოდებლები სასაქონლო კრედიტს უმთავრესად იმ ფერმერებზე გაცემენ, რომლებთანაც პარტნიორული ურთიერთობა/ თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ ან რომლებიც მომწოდებლების პარტნიორთა წრეში კარგი რეპუტაციით სარგებლობენ.

მსხვილი მომწოდებლები მეწარმეებს ზოგჯერ განვადებით მომსახურებასაც სთავაზობენ, რაც სინამდვილეში ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხია. ამ საფინანსო პროდუქტს ფინანსური ორგანიზაციების წარმომადგენლები ძირითადად მასალების რეალიზაციის ადგილზე, მაღაზიაშივე გაცემენ. სასაქონლო კრედიტის გაცემისას მომწოდებელი კრედიტის გადაუხდელობის რისკს თავის თავზე იღებს, ხოლო განვადებით მომსახურების შემთხვევაში ეს რისკი მთლიანად ფინანსურ ორგანიზაციაზე გადადის.



**სასაქონლო კრედიტით სარგებლობის უპირატესობები:**

- სასაქონლო კრედიტით სარგებლობის გამარტივებული პროცედურა, რომელიც მომწოდებლის მიერ მიღებულ სწრაფ გადაწყვეტილებას ეფუძნება;
- ფერმერებზე, რომლებთანაც მომწოდებლებს ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობები აქვთ და/ან კარგი რეპუტაციით სარგებლობენ, სასაქონლო კრედიტი, როგორც წესი, უზრუნველყოფის გარეშე გაცემა;
- ზოგიერთი მომწოდებლისგან დამატებითი სარგებლის (პროდუქციის ადგილზე მითანა უფასოდ, აგრონომიული კონსულტაციის გაწევა) მიღების შესაძლებლობა.



**სასაქონლო კრედიტით სარგებლობის საყურადღებო საკითხები:**

- ნედლეული და მასალები სასაქონლო კრედიტით ყიდვისას, ჩვეულებრივ, უფრო ძვირია, ვიდრე ნაღდი ფულით გადახდისას;
- თუ მომწოდებლები საბრუნავი საშუალებების იმპორტს ახორციელებენ, ანუ შესყიდვებისთვის უცხოური ვალუტა სჭირდებათ, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ ფერმერებს აღნიშნულ პროდუქციას ეროვნულ ვალუტაში აწვდიან, ვალუტის კურსის ცვლილება უმეტეს შემთხვევაში სარეალიზაციო ფასებზეც აისახება. აღნიშნული გარემოება ფერმერისთვის გარკვეული რისკია, თუ სასაქონლო კრედიტის ხელშეკრულებაში ნედლეულისა და მასალების ფასები უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული და თანხის გადახდა კი ანგარიშსწორების დღის კურსით უნდა მოხდეს. შესაბამისად, ამგვარი გარიგებების დადებისას საყურადღებოა სავალუტო რისკი, რამდენადაც კურსის მატება გადასახდელ თანხასაც გაზრდის;
- როგორც წესი, სასაქონლო კრედიტით შესაძლებელია საწარმოო ხარჯების მხოლოდ ნაწილის დაფინანსება;
- სასაქონლო კრედიტის დაფარვის ვადა ძირითადად სესხის ვადასთან შედარებით უფრო მცირეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსავლის აღების შემდეგ ფერმერს მოკლე დროში მოუწევს სასაქონლო კრედიტის გადახდა.

## დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება

თუ თქვენ მომწოდებლებთან პარტნიორული ურთიერთობა გაქვთ და თანხასაც პროდუქციის შექმნისთანავე იხდით, შესაძლებელია მათგან პროდუქციაზე ფასდაკლება მიიღოთ. ეს ფასდაკლება კი შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება და ამ სესხით ფასდაკლებული პროდუქციის შექმნა თქვენთვის ფინანსურად მომგებიანი იყოს. გარდა ამისა, სესხით თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ისეთი პროდუქცია ან მიიღოთ ისეთი მომსახურება, რომლის შექმნას ან მიღებასაც სასაქონლო კრედიტით ვერ შეძლებდით.

საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად სესხის აღება, სხვა ტიპის სესხების მსგავსად, შესაძლებელია როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. ამ სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა, ძირითადად, 36 თვემდეა. გარდა ამისა, 200 000 ლარზე მეტი მოცულობის სესხი შეგიძლიათ აიღოთ უცხოური ვალუტითაც, თუმცა სავალუტო რისკებისგან თავის დასაცავად უცხოური ვალუტით სესხის აღება რეკომენდებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ პროდუქციის ექსპორტს ახორციელებთ და ელოდებით, რომ შემოსავლებსაც უცხოური ვალუტით მიიღებთ.

ზოგჯერ საბრუნავი კაპიტალისთვის სესხის აღებისას ფინანსური ორგანიზაციები სესხის უზრუნველყოფას ითხოვენ. სესხის უზრუნველყოფა, როგორც წესი, ხდება უძრავი ან მოძრავი ქონებით (მაგალითად, საცხოვრებელი ბინა, შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი, მანქანა-დანადგარი და სხვა), რომელსაც მსესხებელი ფინანსურ ორგანიზაციას სესხის დაბრუნებლობის რისკის შესამცირებლად სთავაზობს. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი ქონება იტვირთება იპოთეკით ან გირავნობით და მსესხებლის მიერ შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს, დაისაკუთროს ეს ქონება ან მოახდინოს მისი რეალიზაცია. სესხი შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს როგორც საკუთარი, ისე კომპანიის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონებით.

### საბრუნავი კაპიტალის შიზნესსესხით დაფინანსების უპირატესობები:

- პროდუქციის შექმნისას ნაღდი ფულის გადახდის შემთხვევაში მომწოდებლები ფერმერს ხშირად ფასდაკლებას სთავაზობენ;
- დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია სხვა სამეურნეო საჭიროებებისთვისაც, მაგალითად, ხელფასების ან ქირის გადასახდელად ან საწვავის შესაძენად;
- სესხით შექმნილი პროდუქცია/ნედლეული, როგორც წესი, უფრო იაფია, ვიდრე სასაქონლო კრედიტით შექმნილი;
- 200 000 ლარამდე მოცულობის სესხი გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით, ამიტომ, უცხოური ვალუტის კურსის ზრდის შემთხვევაში სავალუტო რისკი არ არსებობს;
- ბიზნესსესხის დაფარვის ვადა და გადახდის გრაფიკი შეესაბამება ფერმერის ბიზნესის ციკლს და მის ბიზნესში ფულადი ნაკადების შემოდინებას.

### საბრუნავი კაპიტალის შიზნესსესხით დაფინანსების საყურადღებო საკითხები:

- ზოგჯერ ფინანსური ორგანიზაციები ბიზნესსესხის უზრუნველყოფას მოითხოვენ;
- ფინანსური ორგანიზაციის მიერ ფერმერისთვის შეთავაზებული სესხის მოცულობა შესაძლებელია მისი ბიზნესისთვის საჭირო თანხაზე ნაკლები იყოს. ეს საკითხი საყურადღებოა, როცა ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან ფერმერის მიერ მოთხოვნილზე მცირე დაფინანსების შეთავაზების მიზეზი არა ბიზნესის გადახდისუნარიანობიდან, არამედ ფინანსური ორგანიზაციის დაკრედიტების პოლიტიკიდან მომდინარეობს;
- სასესხო განაცხადის განხილვას სჭირდება დრო, რადგან ფინანსური ორგანიზაცია ფერმერის ბიზნესის გადახდისუნარიანობას აფასებს.

## საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის სესხის აღება ჯობია თუ სასაქონლო კრედიტით სარგებლობა?

როდესაც მომწოდებელი ფერმერს სასაქონლო კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობას სთავაზობს, ის გარკვეული, მათ შორის, დროულად გადაუხდელობის რისკებისგან იზღვევს თავს და პროდუქციას შედარებით ძვირად ყიდის. ამასთან, თუ ფერმერს შეუძლია პროდუქცია გადავადების გარეშე იყიდოს, მომწოდებელი მას ხშირად

ფასდაკლებას სთავაზობს. ამ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევამდე ფერმერმა ერთმანეთს უნდა შეუდაროს ფულის წინასწარი გადახდისას მომწოდებლის მიერ შეთავაზებული ფასდაკლება და სესხის საპროცენტო ხარჯი.

## პრაქტიკული მავალითი: სასაქონლო კრედიტი თუ სესხი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად

ფერმერს 40 000 ლარის ღირებულების საქონლის შეძენა სჭირდება. მომწოდებელი მას 10-პროცენტიან ფასდაკლებას სთავაზობს, თუ იგი ანგარიშსწორებას საქონლის მიწოდებისთანავე განახორციელებს. ფერმერს ასევე შეუძლია სესხის აღება, თუმცა, მას საკომისიოებთან

ერთად სესხზე წლიური 12-პროცენტიანი სარგებლის დაფარვა მოუწევს. რომელი გადაწყვეტილება იქნება უფრო მართებული — სესხის აღება თუ სასაქონლო კრედიტით სარგებლობა?

### დაფინანსების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტით სარგებლობა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად

სასაქონლო კრედიტით შეძენილი საქონლის ღირებულება — 40 000 ლარი.

### დაფინანსების შესაძლებლობა 2: სესხის აღება საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად

საქონლის ღირებულება 10 %-იანი ფასდაკლებით — 36 000 ლარი;  
 სესხის მოცულობა — 36 000 ლარი;  
 საპროცენტო განაკვეთი — წლიური 12 %;  
 პროცენტის გადახდა — ყოველთვიურად;  
 საკომისიო — მთლიანი სესხის 2% (720 ლარი);  
 დაფარვის ვადა — 6 თვე.

სესხის ფულადი ნაკადების  
 მოძრაობის გრაფიკი

თვე	ხარჯის დასახელება	მოცულობა
მარტი	სესხის გაცემის საკომისიო	720 ლარი
აპრილი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
მაისი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
ივნისი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
ივლისი	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
აგვისტო	ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	360 ლარი
სექტემბერი	სესხის მთლიანი დაფარვა და ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი	36 360 ლარი
<b>ჯამი</b>	<b>სესხის თანხა, ყოველთვიური საპროცენტო ხარჯი და საკომისიო</b>	<b>38 880 ლარი</b>

### დასკვნა

საქონლის სასაქონლო კრედიტით შესყიდვის შემთხვევაში მისი ღირებულებაა 40 000 ლარი, ხოლო სესხით სარგებლობისას ხარჯების საერთო მოცულობა 38 880 ლარია. შესაბამისად, საქონლის სესხით შეძენისას ფერმერი 1,120 ლარს დაზოგავს.

## საზრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის გამოყენებული სხვა ფინანსური პროდუქტები:

**საბანკო გარანტია** — ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელსაც მსესხებელი (პრინციპალი) წარუდგენს მომწოდებელს/დამკვეთს ან მომხმარებელს (ბენეფიციარი) იმის დასტურად, რომ მის მიერ აღებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში დოკუმენტში მითითებულ თანხას ბანკი (გარანტი) გადაიხდის. მაგალითად, ფერმერმა მომწოდებლისგან სასაქონლო კრედიტით 10 000 ლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა. ამავდროულად, მომწოდებლის მოთხოვნით ფერმერმა ბანკთან გააფორმა საბანკო გარანტიის შესახებ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად, ფერმერის მიერ კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკი ვალდებული იქნება მომწოდებლის/დამკვეთის ან მომხმარებლის მოთხოვნისთანავე გადაიხადოს სასაქონლო კრედიტის თანხა — 10 000 ლარი.


**ბიზნესოვერდრაფტი** — საკრედიტო პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია მოკლევადიანი საოპერაციო ხარჯებისა და სხვა მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად. ბიზნესოვერდრაფტი საშუალებას გაძლევთ წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მიიღოთ ფულადი რესურსი თქვენი ბიზნესის მიმდინარე ხარჯების (სახელფასო დავალიანების გასტუმრება, საქონლის განბაჟება, საგადასახადო დავალიანების დაფარვა, მომწოდებელთან ანგარიშსწორება და ა.შ.) დასაფინანსებლად. ამ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას საშუალება გეძლევათ თქვენი კომპანიის ანგარიშიდან ფინანსურ ორგანიზაციასთან წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში გახარჯოთ თანხა, შედეგად, თქვენ შეგეძლებათ იმაზე მეტი დახარჯოთ, ვიდრე ანგარიშზე გაქვთ, ხოლო თანხების ათვისებას/დაფარვას, თქვენი საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, ბანკთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეძლებთ. ბიზნესოვერდრაფტით სარგებლობისთვის, როგორც წესი, საჭიროა მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც გახსნილია თქვენს მომსახურე ბანკში, ფიქსირდებოდეს თანხის ბრუნვა. ამ პროდუქტით სარგებლობისას, როგორც წესი, ყოველთვიურად იხდით მხოლოდ გამოყენებულ თანხაზე დარიცხულ პროცენტს. მაგალითად, მომხმარებელი სარგებლობს ერთწლიანი ბიზნესოვერდრაფტით, რომლის ლიმიტია 10 000 ლარი. თუ ის 2 000 ლარს აითვისებს და ამ თანხას ორ კვირაში დააბრუნებს, მხოლოდ ამ 2 000 ლარის 2 კვირით სარგებლობის თანხის გადახდა მოუწევს. ბიზნესოვერდრაფტის ვადა, ანუ მისი საბოლოოდ დაფარვის პერიოდი, როგორც წესი, ერთ წელს არ აღემატება.

## კერძო პირისგან სესხის აღება

სესხის აღება კერძო პირისგან შედარებით სწრაფად და მარტივად შესაძლებელია, თუმცა იგი, როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაციისგან აღებულ სესხზე უფრო ძვირია. ხშირ შემთხვევაში, კერძო დამფინანსებელი სესხის უძრავი ქონებით ან ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფას ითხოვს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს სესხები ძირითადად მოკლევადიანია და ბიზნესის საჭიროებებზე არ არის მორგებული. რაც მთავარია, ასეთ დროს კრედიტორის მიერ ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასება არ ხდება. შედეგად, მაღალია იმის რისკი, რომ ზედმეტი ვალდებულებების აღების შემთხვევაში, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მსესხებლის ბიზნესი გადახდისუნარო აღმოჩნდეს, მეწარმემ დაკარგოს უზრუნველყოფის სახით წარდგენილი ქონებაც და ბიზნესიც გაკოტრდეს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებისა, საქართველოში საბრუნავი კაპიტალი სოფლის მეურნეობის სფეროში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც ფინანსდება. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ სახელმძღვანელოს 41-ე გვერდზე მოცემულ ბმულზე.

## როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსება გჭირდებათ



ძირითადი საშუალებები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხერხემალია. აგრობიზნესის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭიროა ძირითადი საშუალებების ფლობა, პერიოდული განახლება და საჭიროების შემთხვევაში მათი შექმნა, რაც უმეტეს შემთხვევაში დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ძირითადი საშუალებების შესყიდვის დაფინანსებას ფერმერები, უმეტესწილად, საფინანსო ინსტიტუტისგან აღებული სესხით ახორციელებენ. ამ სესხის გადახდის პერიოდი, როგორც წესი, 84 თვემდეა და მისი მიღება შესაძლებელია როგორც ცვლადი, ისე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

დაფინანსების წყაროა, ასევე, ლიზინგი, რომელიც ძირითადად ტექნიკის შექმნისას გამოიყენება. გარდა ამისა, არსებობს სახელმწიფო და დონორული პროგრამები, რომლებიც ძირითადი საშუალებების შექმნას აფინანსებს. ბევრი ასეთი პროგრამა ფერმერის სესხის ღირებულების შემცირების შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, ზოგი პროგრამა სესხის პროცენტის დიდ ნაწილს ფარავს და ა.შ.). ჰკითხეთ თქვენი მომსახურე ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელს, მონაწილეობს თუ არა მისი ორგანიზაცია ასეთ პროგრამებში.

ძირითად საშუალებებში ინვესტიციის განხორციელებისთვის ფინანსების მოძიება დამოკიდებულია იმ აქტივზე, რომლის შექმნასაც გეგმავთ. მაგალითად, თუ თქვენ გსურთ ტრაქტორის, კომბაინის, გუთნის ან სხვა ტექნიკის შექმნა, დაფინანსების რამდენიმე წყარო არსებობს. მაგრამ თუ გჭირდებათ მიწის ნაკვეთის ყიდვა ან საწარმოს მშენებლობა, დაფინანსების წყაროების რაოდენობა უფრო მცირეა და ფინანსური ორგანიზაციებისგან სესხის აღება, როგორც წესი, ერთადერთი შესაძლებლობაა.

## დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება

როცა დაფინანსების წყაროს ისეთი ძირითადი საშუალებების შესაძენად ეძებთ, როგორებიცაა: მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები და სხვა, როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაციებისგან სესხის

აღება ყველაზე ხშირად გამოყენებული პრაქტიკაა, რამდენადაც ტექნიკისგან განსხვავებით, გემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად სალიზინგო პროდუქტები ბაზარზე პრაქტიკულად არ გვხვდება.

### ძირითადი საშუალებების ზიზნესსესხით დაფინანსების უპირატესობები:

- დაფარვის ხანგრძლივი ვადები (დღესდღეობით ეს ვადა ბაზარზე უმრავლეს შემთხვევაში 7 წლამდეა);
- ახალი და მეორეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა უშუალოდ უცხოელი მომწოდებლისგან;
- თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმის სრულად დაფინანსების შესაძლებლობა;
- სესხის დაფარვის მოქნილი გრაფიკი და საშეღავათო პერიოდი, რომელიც ხშირ შემთხვევაში თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობის გრაფიკს შეესაბამება;
- როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაცია ითვალისწინებს როგორც აგრო, ასევე სხვა ბიზნესიდან მიღებულ თუ პირად შემოსავალს.

### ძირითადი საშუალებების ზიზნესსესხით დაფინანსების საყურადღებო საკითხები:

- დრო, რომელიც სესხის გაცემას სჭირდება, ვინაიდან ფინანსური ორგანიზაცია შეისწავლის და აფასებს ფერმერის საქმიანობას;
- დამატებითი ხარჯები და გადასახადები (სავალდებულო დაზღვევა, სესხის გაცემის საკომისიო და ა. შ.), რომლებიც სესხის გაცემას ახლავს;
- ფინანსური ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფის ან თავდებობის მოთხოვნა.

სოფლის მეურნეობის სფეროში ძირითად საშუალებებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო აფინანსებს საპროცენტო ხარჯის ნაწილს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ მე-16 გვერდზე თავში „დაფინანსების სხვა წყაროები“.

## დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: სალიზინგო კომპანიისგან დაფინანსების მიღება

ხშირად ფერმერები ტრაქტორს, კომბაინს, მანქანა-დანადგარს, მისაბმელსა და სხვა მსგავს ტექნიკას სალიზინგო კომპანიების დაფინანსებით ყიდულობენ. სალიზინგო მომსახურება ხელსაყრელია, თუ თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმა მხოლოდ ტექნიკის შეძენას ითვალისწინებს, დროში შეზღუდვები ხართ ან სესხის ასაღებად საჭირო პროცედურების ვადა თქვენთვის ხელსაყრელი არ არის. თუმცა,

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასურველია ლიზინგის მომსახურებასთან და ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღებასთან დაკავშირებული სრული ხარჯები ერთმანეთს შეუდაროთ.

**როგორ ხდება სალიზინგო მომსახურების მიღება?**



1. შეარჩიეთ ტექნიკა, რომელიც თქვენი ბიზნესისთვის გჭირდებათ;
2. მოელაპარაკეთ სალიზინგო კომპანიას მომსახურების პირობებზე (თანამონაწილეობის მოცულობა, სალიზინგო შენატანების ოდენობა, სალიზინგო მომსახურების ღირებულების დაფარვის ვადა და ა. შ.);
3. თანამონაწილეობის გადახდის შემდგომ სალიზინგო კომპანია ტექნიკის გამყიდველს სრულად უხდის თანხას;
4. როგორც წესი, სალიზინგო კომპანია აზღვევს ტექნიკას და დაზღვევის თანხა გათვალისწინებულია სალიზინგო შენატანებში;
5. თქვენ იყენებთ ტექნიკას და, ამავდროულად, შეთანხმებული პერიოდულობითა და მოცულობით სალიზინგო კომპანიას უხდით ლიზინგის თანხას;
6. ხელშეკრულება შესაძლოა ითვალისწინებდეს სახელშეკრულებო ვადის დასრულებისას ტექნიკის თქვენს საკუთრებაში გადმოსვლის შესაძლებლობას.

**მნიშვნელოვანია იყოფეთ:**

**რა არის ლიზინგის ნარჩენი ღირებულება სალიზინგო ხელშეკრულებაში?**

ლიზინგის ნარჩენი ღირებულება არის ლიზინგის თანხის დარჩენილი ნაწილი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემის მიმართ განხორციელებული გადახდების შემდეგ რჩება გადასახდელი.

სალიზინგო ხელშეკრულება შესაძლოა ითვალისწინებდეს თანაბარ გადახდებს სალიზინგო მომსახურების ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე და აღნიშნული მომენტისთვის ლიზინგის თანხა სრულად იქნას ამორტიზებული (ანუ დაფარული). გარდა ამისა, არსებობს ისეთი გრაფიკები, რომელთა მიხედვითაც ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას გადასახდელი თანხა (ანუ ლიზინგის ნარჩენი ღირებულება) შედარებით დიდი მოცულობისაა და მისი ერთიანად გადახდა შესაძლოა, გაგიძნელებდეთ. ამიტომ, სალიზინგო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე ყოველთვის ყურადღებით გაეცანით მას, რათა თავიდან აიცილოთ გაუგებრობები.

**სალიზინგო კომპანიისგან მიღებული დაფინანსების უპირატესობები:**

- მომსახურება საკმაოდ სწრაფია — სალიზინგო განაცხადის განხილვას, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლები დრო სჭირდება;
- სალიზინგო კომპანიები, როგორც წესი, ბევრ ლოკუმენტს არ ითხოვენ;
- ძირითადად, სალიზინგო კომპანიები სესხის დამატებით უზრუნველყოფას არ მოითხოვენ;
- შესაძლებელია ტექნიკის მომწოდებელთან დაიდოს სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შექცნილი აქტივის ტექნიკური ან საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება.

**სალიზინგო კომპანიისგან მიღებული დაფინანსების საყურადღებო საკითხები:**

- სალიზინგო ხელშეკრულება ხშირად დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან (კერძოდ, სავალდებულო დაზღვევა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები);
- როგორც წესი, სალიზინგო კომპანიისგან მიღებული დაფინანსება სესხთან შედარებით უფრო ძვირი დაფინანსების წყაროა;
- სალიზინგო კომპანიასთან შეთანხმებული გადახდების გრაფიკი უმთავრესად სტანდარტულია (ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობასთან შესაბამისობა არ ხდება);
- სალიზინგო კომპანიის დაფინანსებით, როგორც წესი, მხოლოდ ახალი ან მეორეული ტექნიკის/დანადგარების შეძენა ხორციელდება;
- სალიზინგო კომპანია უმეტეს შემთხვევაში ფერმერისგან თანამონაწილეობის თანხას ითხოვს;
- ხშირად სალიზინგო კომპანიისგან მიღებული დაფინანსება არ იძლევა ტექნიკის უშუალოდ უცხოელი მომწოდებლისგან შეძენის შესაძლებლობას.

საქართველოში აგრომომართულებით სალიზინგო მომსახურების გამწვევი კომპანიები ძირითადად ჩართული არიან სახელმწიფო პროგრამებში და თავიანთ საქმიანობას ამ პროგრამების პირობების შესაბამისად ახორციელებენ.

## დაფინანსების სხვა წყაროები

2013 წელს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), რომლის მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება.

სააგენტოს ჩართულობითა და საერთაშორისო დონორებისა და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსებით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების ხელშესაწყობად არაერთი საგრანტო პროგრამა და პროექტი დაინერგა. ისინი სხვადასხვა პერიოდულობითა და მასშტაბით მუდმივად ხორციელდება.

სააგენტომ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელა, კერძოდ: „დანერგე მომავალი“, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა — „ახალგაზრდა მეწარმე“, „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“, „აგროდაზღვევა“ და „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ პროგრამას აქვს საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული კრიტერიუმები, რომლებსაც მასში მონაწილეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს, და დაფინანსების საკუთარი პირობები, ყველა ამ პროგრამის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ფერმერთა და აგრობიზნესის საჭიროებების დაფინანსების მოპოვებასა და განვითარებას.

საერთაშორისო დონორების ჩართულობით სოფლის მეურნეობის სფეროში სხვა პროექტებიც განხორციელდა. მაგალითად, 2013 წელს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდასაჭერად ამოქმედდა ევროკავშირის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ევროპის სამეზობლო პროგრამა“ (ENPARD). ამ პროგრამის მიზნებია სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების გაძლიერება, სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მცირე ფერმერთა თანამშრომლობის გაძლიერება და მცირე ფერმერების ქმედითუნარიანობის გაზრდა. ENPARD-ის განმახორციელებელმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა (Oxfam, Mercy Corps, People in Need, Care, UNDP) 2013–2018 წლებში ქვეყნის მასშტაბით 280-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო კომპერატივს 4 მილიონ ევროზე მეტი (დაახლოებით 13 მილიონი ლარის) ღირებულების ტექნიკური დახმარება გაუწიეს. ამასთანავე, განხორციელდა სოფლების ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აგრობიზნესების მხარდაჭერა ინდივიდუალურ დონეზე. გარდა ამისა, 8 000-ზე მეტმა ფერმერმა მონაწილეობა მიიღო სხვასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამაში აგრობიზნესის მიმართულებით. აღსანიშნავია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ განხორციელებული არაერთი პროექტი (მაგალითად, NEO, EPI, REAP და ZRDA), რომელთა ერთ-ერთი მიმართულება საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაა.

ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია საგრანტო პროგრამების შესახებ არასრულია, რადგან მისი მთავარი მიზანია, ფერმერებს შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების თაობაზე ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას. შესაძლოა იმ მომენტისთვის, როდესაც ეს ბროშურა გამოქვეყნდება, ან ფერმერი შესაბამის ინფორმაციას გაეცნობა, ზემოთ ნახსენები რომელიმე პროგრამა დასრულებული იყოს ან ხორციელდებოდეს სხვა ისეთი პროგრამა, რომელიც აქ ნახსენები არ არის. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ყველა პროგრამისა თუ პროექტის შესახებ ახალი და დეტალური ინფორმაცია იხილეთ სახელმძღვანელოს 41-ე გვერდზე მოცემულ ბმულებზე.



## აგროდაზღვევა

ფერმერულ საქმიანობაში ბევრი რისკი და გაუთვალისწინებელი შემთხვევა არსებობს — უამინდობისა და სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ქარიშხალი, სეტყვა, გვალვა და ა.შ.) გამო მოსავლის დაზიანება, მცენარეებისა და პირუტყვის დაავადებები და ა.შ. ეს და სხვა რთულად პროგნოზირებადი ფაქტორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას შედარებით რისკიანს ხდის. ამ და სხვა რისკების შესამცირებლად სადაზღვევო კომპანიებმა სპეციალური სადაზღვევო პროდუქტები შეიმუშავეს, მათ შორის, აგროდაზღვევა, რომელიც ფერმერებს დაეხმარება თავიანთი საქმიანობა და ფულადი ნაკადები უფრო მეტად პროგნოზირებადი გახადონ.

დაზღვევა მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული საფინანსო პროდუქტია, რომლითაც ნებისმიერი ტიპის ბიზნესსა და შინამეურნეობას შეუძლია ისარგებლოს. ყოველთვიური, ყოველკვარტალური ან ყოველწლიური პრემიის გადახდით ფერმერებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ სეტყვით, გვალვით, ყინვით, მეწყერთა თუ ხანძრით გამოწვეული დანაკარგები. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა აქვთ, დააზღვიონ თავიანთი მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო ფართობი და სხვა ქონება, რათა შეამცირონ აღნიშნული აქტივების დაზიანებით, დაკარგვით ან განადგურებით მიყენებული ფინანსური ზარალი. ხშირ შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაციები ფერმერთა საქმიანობის დაფინანსებისას ითხოვენ როგორც მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევას, ისე იმ აქტივების დაზღვევასაც, რომელთა შექენასაც ფერმერი სესხით გვემავს.

საქართველოს ბაზარზე ბევრი სადაზღვევო კომპანია ოპერირებს და მათ მიერ შეთავაზებული პროდუქტებიც მრავალფეროვანია. ერთ-ერთი ასეთი პროდუქტია აგროდაზღვევა. ის რისკების შემცირების კარგი საშუალებაა. ამდენად, აგროდაზღვევის ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. ამ მიმართულებით 2014 წელს სააგენტომ სპეციალური პროგრამაც კი დანერგა, რომელიც ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს, სააგენტოს მიერ შერჩეული სადაზღვევო კომპანიებისგან შეიძინონ სპეციალურად ამ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სადაზღვევო პაკეტი.

ამ პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს:


- სეტყვა;
- წყალდიდობა;
- ქარიშხალი;
- საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის) — 1-ლი სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

თითოეულ დამზღვევებზე ამ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული იყო ყველა კულტურაზე 70%-იანი, ხოლო ვაზზე — 50%-იანი თანადაფინანსების მიღება (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევებზე/მოსარგებლებზე გადასახდელი პრემიის ოდენობა 50 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს). ამასთანავე, დამზღვევს შეუძლია ერთდროულად დააზღვიოს როგორც მარცვლეული, ისე სხვა კულტურები; ამ შემთხვევაში განსაზღვრული იქნება ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი.

აქ მოცემული სადაზღვევო ტარიფები და პროგრამის სხვა პირობები მოქმედებდა 2019 წლის სექტემბრისთვის. აღნიშნულის შესახებ ახალი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბროშურის 41-ე გვერდზე მოცემულ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ბმულზე.

### რა არის ფრანშიზა?

სადაზღვევო ხელშეკრულებების უმეტესობა ითვალისწინებს ფრანშიზას, ანუ ზარალის იმ მინიმალურ ზღვრულ ოდენობას, რომლის ზემოთაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ანაზღაურების პასუხისმგებლობას იღებს. მაგალითად, თქვენს სადაზღვევო ხელშეკრულებაში საშემოდგომო ყინვის შემთხვევაში ფრანშიზა განსაზღვრულია 10 000 ლარით. თუ საშემოდგომო ყინვით გამოწვეული თქვენი დანაკარგი სადაზღვევო კომპანიის შეფასებით 5 000 ლარი იქნება, სადაზღვევო კომპანია თანხას არ აგინაზღაურებთ, რადგან სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზარალი ფრანშიზაზე ნაკლებია. მაგრამ თუ თქვენი დანაკარგი სადაზღვევო კომპანიამ 50 000 ლარად შეაფასა, მაშინ იგი 40 000 ლარს სხვაობას საერთო დანაკარგსა და ფრანშიზას შორის (50 000 - 10 000 = 40 000) აანაზღაურებს.



## ნაბიჯი 2: შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად

ფინანსური გადაწყვეტილების მიღების შემდგომი ეტაპია თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობის შესაბამისად სესხის მოცულობისა და თქვენი ბიზნესის გადახდისუნარიანობის განსაზღვრა. როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაციები სესხის მოცულობის განსაზღვრისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სხვადასხვა მონაცემთან ერთად ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტსაც ითვალისწინებენ. ამასთანავე, თუ აგრომეწარმეს სესხი სამომხმარებლო მიზნებისთვის სჭირდება, სესხის მოცულობის განსაზღვრისას ფინანსური ორგანიზაციები საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ.

### ტერმინთა განმარტება:

**საკუთარი კაპიტალი** — აქტივების ის ნაწილი, რომელიც ბიზნესს ყველა ვალდებულების, მათ შორის, მომწოდებლისა და კერძო მსესხებლის ვალების გასტუმრების შემდგომ რჩება.

**რა არის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი და რას გამოხატავს ეს მაჩვენებელი?**

**ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი** მიუთითებს, ბიზნესის აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული მფლობელების კაპიტალით (საკუთარი კაპიტალით). იგი საკუთარი კაპიტალის მთლიან აქტივებთან შეფარდებით გამოითვლება.

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

### გათვალისწინეთ:

რაც უფრო დაბალია **ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი**, მით უფრო მცირეა ბიზნესში საკუთარი კაპიტალი, ხოლო ბიზნესის ვალდებულებები მით უფრო დიდია. თუ ეს კოეფიციენტი ნულის ტოლია, ბიზნესის ვალდებულებების მოცულობა აქტივების მოცულობას უტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესს არ გააჩნია საკუთარი კაპიტალი და ბიზნესის ყველა აქტივი დაფინანსებულია ვალდებულებით. რაც უფრო დაბალია ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია რისკი, რომ ბიზნესს ვალდებულებების გადახდა გაუჭირდება და გაკოტრების წინაშე აღმოჩნდება.

### მნიშვნელოვანია იცოდეთ:


როდესაც ბიზნესის განვითარებისთვის დაფინანსების წყაროებს ეძებთ, მნიშვნელოვანია შეაფასოთ შეძლებს თუ არა თქვენი ბიზნესი ყველა ვალდებულების დაფარვას მას შემდეგ, რაც დამატებით სესხს აიღებთ. ზოგადი წესის თანახმად, როდესაც ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 30%-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის გასაფართოებლად დამატებითი სესხის აღება, დიდი ალბათობით, ზედმეტად სარისკოა. ამ კოეფიციენტის ზემოაღნიშნული რეკომენდებული მაჩვენებლის გათვალისწინებით თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ ვალდებულებების ის მაქსიმალური მოცულობა, რომლის ერთდროულად დაფარვის შესაძლებლობა აქვს თქვენს ბიზნესს, მიუხედავად სასესხო შენატანების მოცულობისა.

## პრაქტიკული მაგალითი: ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა

ფერმერმა, რომელიც 50 ჰექტარ მიწის ფართობს ამუშავებს, საკუთარი საქმიანობის გაფართოება გადაწყვიტა; მას სურს ინვესტიციის განხორციელება ორი მიმართულებით: საკუთარი ბელის აშენება, რათა

შეამციროს ბელის ქირავნობის ხარჯები, და საკუთარი საქმიანობის დივერსიფიცირება მერძევეობის მიმართულებით. სესხის აღების შესაძლებლობის შეფასების მიზნით ფერმერი თავდაპირველად თავისი ბიზნესის მიმდინარე საბალანსო უწყისს ადგენს.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	0	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>51 600</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>45 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	25 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	0
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	50 000
მისაბმელი	3 500	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>50 000</b>
კომბაინი	60 000	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>95 000</b>
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	60 100
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>103 500</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>60 100</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>155 100</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>155 100</b>



\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{60100}{155100} \times 100 = 38\%$$

საბალანსო უწყისის საფუძველზე ფერმერმა შეაფასა საკუთარი კაპიტალი, დაიანგარიშა ბიზნესის აქტივები და მათი თანაფარდობით განსაზღვრა ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

### არსებული ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტია 38%.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრის შემდგომ ფერმერი ადგენს ბიზნესის განვითარების გეგმის განხორციელების შემდეგ საპროგნოზო, ანუ მოსალოდნელ საბალანსო უწყისს, რომელშიც

გათვალისწინებული იქნება სესხის თანხით შეძენილი აქტივები (იხილეთ ბიზნესის განვითარების მოსალოდნელი გეგმის ნიმუში).

### მნიშვნელოვანია იყოფეთ:

#### აქტივების რეალური შეფასება

იმის დასადგენად, თუ რა ღირებულებისაა თქვენი ბიზნესის მთლიანი აქტივები, მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ თქვენი აქტივების რეალური ღირებულება. აქტივების რეალური ფასის (მიმდინარე ანუ დღევანდელი

ღირებულების) დასადგენად თქვენ შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ მეორეული ტექნიკის ბაზრის ფასებით.

## ბიზნესის განვითარების მოსალოდნელი გეგმა

ფერმერის დაანგარიშებით, ბელის ასაშენებლად მას 40 000 ლარი, ხოლო რძის წარმოების დასაწყებად აუცილებელი აღჭურვილობისა და პირუტყვის შესაძენად – 55 000 ლარი დასჭირდება. ჯამში მას 95 000 ლარის სესხი

ესაჭიროება. ფერმერი ადგენს განახლებულ საბალანსო უწყის სესხის თანხისა და მისი საშუალებით შესაძენი აქტივების გათვალისწინებით, რათა განსაზღვროს, შეძლებს თუ არა მისი ბიზნესსაქმიანობა ამ მოცულობის სესხის გადახდას.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	0	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>51 600</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>45 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	25 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	95 000
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	50 000
მისაბმელი	3 500	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>145 000</b>
კომბაინი	60 000	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>190 000</b>
ბელედი	40 000	კაპიტალი	
მერძევეობის აღჭურვილობა და პირუტყვი	55 000	საკუთარი კაპიტალი	60 100
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>198 500</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>60 100</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>250 100</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>250 100</b>



\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი =  $\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოლოანი აქტივები}} = \frac{60100}{250100} \times 100 = 24\%$

### მოსალოდნელი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტია 24%.

როგორც ბიზნესის განვითარების მიმდინარე და მოსალოდნელი გეგმების ნიმუშების განხილვამ გვიჩვენა, საკუთარი კაპიტალის მოცულობა არ შეცვლილა, ვინაიდან ფერმერმა აქტივების შესაძენად დაფინანსების წყაროდ მხოლოდ სასესხო ვალდებულებები აირჩია და არა საკუთარი კაპიტალის ინვესტირება. შესაბამისად, გაიზარდა აქტივები და

ვალდებულებები, ხოლო საკუთარი კაპიტალი უცვლელი დარჩა. ამის შედეგად საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტი 24%-მდე შემცირდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფერმერის ბიზნესს, დიდი ალბათობით, მისი ბიზნესისთვის ზედმეტი რისკის გარეშე არ შეუძლია 95 000 ლარის მოცულობის სესხის მომსახურება.

ფერმერმა შეცვალა ბიზნესის განვითარების გეგმა, რათა განესაზღვა სესხის ის მოცულობა, რომლის გადახდასაც მისი ბიზნესი შეძლებდა.

## ბიზნესის განვითარების დაკორექტირებული გეგმა

გაკეთებული შეფასებებისა და ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის მოსალოდნელი მაჩვენებლის გათვალისწინებით ფერმერმა შეცვალა ბიზნესის განვითარების გეგმა და 40 000 ლარად მხოლოდ

ბელის მშენებლობა გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში მის გრძელვადიან აქტივებს დაემატება მხოლოდ 40 000 ლარის ღირებულების ბელელი, ხოლო გრძელვადიან ვალდებულებებს, შესაბამისად, მხოლოდ 40 000 ლარის მოცულობის სესხი.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	0	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	50 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>51 600</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>45 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	25 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	40 000
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>90 000</b>
კომბაინი	60 000	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>135 000</b>
ბელელი	40 000	<b>კაპიტალი</b>	
		საკუთარი კაპიტალი	60 100
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>143 500</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>60 100</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>195 100</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>195 100</b>

\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

ამ ცვლილების შემდგომ ფერმერის ბიზნესის მთლიანი აქტივების ღირებულება 195 100 ლარი გახდა, მთლიანი ვალდებულებების ღირებულება – 135 000 ლარი, ხოლო საკუთარი კაპიტალი უცვლელი დარჩა – 60 100 ლარი.

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{60100}{195100} \times 100 = 31\%$$


დაკორექტირებული ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტია 31%.

ბიზნესის განვითარების დაკორექტირებულ გეგმაში ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის მაჩვენებელი 31%-მდე გაიზარდა,

რაც უფრო მისაღები იქნება ფინანსური ორგანიზაციისთვის ფერმერის დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

# ნაბიჯი 3: შვარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

როდესაც ბიზნესის განვითარების გეგმას საბოლოოდ ჩამოაყალიბებთ, შვარჩიეთ დაფინანსების წყაროსა და საფინანსო პროდუქტს და განსაზღვრავთ დაფინანსების მოცულობას, უკვე შეგეძლებათ გააკეთოთ განაცხადი დაფინანსების მიღებაზე. თუმცა, დაფინანსების მიღებამდე თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ და ერთმანეთს შეუდაროთ სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის საფინანსო პროდუქტები და პირობები, მაგალითად სესხის ვადა, საპროცენტო განაკვეთი, სესხის დამტკიცებისა და გაცემის საკომისიოები, დაზღვევის ტიპები და მათი ღირებულება, და ამის შემდგომ მიიღოთ გადაწყვეტილება და აირჩიოთ თქვენთვის სასურველი შეთავაზება.



### სესხი საბრუნავი კაპიტალისთვის

სესხის ტიპი, რომლის მიღებასაც გეგმავთ, დამოკიდებულია თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმაზე. თუ თქვენ საბრუნავი კაპიტალის გაზრდა გსურთ, გაითვალისწინეთ, რომ სესხი საბრუნავი კაპიტალისთვის ძირითადად ისეთი მოკლევადიანი საჭიროებების დასაფინანსებლად გაიცემა, რომლებიც ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში არსებობს. ასეთი საჭიროებებია:

სათესლე მასალის, სასუქების, პესტიციდებისა და საწვავის შექენა, მომსახურე პერსონალის სახელფასო ხარჯების დაფარვა და სხვა. კომერციული ბანკები ფერმერებს საბრუნავი კაპიტალისთვის სხვადასხვა ტიპის სესხებს სთავაზობენ, კერძოდ, საკრედიტო ხაზს, ავტომატურად განახლებად სესხს, სტანდარტულგრაფიკიან სესხს და ა.შ. სესხს საბრუნავი კაპიტალისთვის შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებული ან ინდექსირებული/ცვლადი საპროცენტო განაკვეთი.

### სესხი ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად

სესხი ძირითადი საშუალებებისთვის, როგორც წესი, გრძელვადიანი საჭიროებების დასაფინანსებლად გაიცემა და განკუთვნილია იმ აქტივების შესაძენად, რომლებიც გრძელვადიანად მონაწილეობს პროდუქციის შექმნაში, კერძოდ, მიწის ნაკვეთის, მანქანა-დანადგარის, ტრაქტორის, მისაბმელის ან კომბაინის შესაძენად, სამეწარმეო

დანიშნულების შენობა-ნაგებობის ასაშენებლად და სხვა.



როგორ უნდა შეფასდეს, მიზანშეწონილია თუ არა გრძელვადიანი სესხით მანქანა-დანადგარისა და ტექნიკის შექენა? შეძენილი აქტივის ღირებულება, მათ შორის სესხზე გადასახდელი დამატებითი ხარჯის გათვალისწინებით, უმეტესწილად მნიშვნელოვნად აღემატება მისი გამოყენებით მოკლევადიან პერიოდში მიღებულ სარგებელს. თუმცა, ძირითადი აქტივის სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობის გამო, ამ პერიოდში მიღებულმა შემოსავალმა შეძენის ღირებულებას შესაძლოა საკმაოდ გადააჭარბოს. რაც მეტია სხვაობა გრძელვადიან პერიოდში მიღებულ შემოსავალსა და აქტივის შექენაზე გაწეულ ხარჯს შორის, მით უფრო მიზანშეწონილია ამ აქტივის შექენა.

სესხს ძირითადი საშუალებებისთვის შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი. ამ ტიპის სესხის დაფარვის ვადა ძირითადად 84 თვეა.

### სესხი შერეული მიზნობრიობისთვის

შირად ბიზნესის განვითარების გეგმა ითვალისწინებს როგორც საბრუნავი, ისე ძირითადი საშუალებების შექენას. ამ შემთხვევაში თქვენი საჭიროებების დაფინანსება შესაძლებელია შერეული მიზნობრიობისთვის განკუთვნილი სესხით. ჩვეულებრივ, ფინანსური ორგანიზაციები მსესხებლებს შერეული მიზნობრიობის სესხის დაფარვის საშუალოვადიან გრაფიკს სთავაზობენ. შერეული მიზნობრიობის სესხს შესაძლებელია ჰქონდეს ფიქსირებული ან ინდექსირებული/ცვლადი საპროცენტო განაკვეთი.



### ტერმინთა განმარტება:

**საკრედიტო ხაზი** — საკრედიტო პროდუქტი, რომელიც გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდურობის შესავსებად ან საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში მისი ვადის ამოწურვამდე, როგორც წესი, შესაძლებელია თანხის შეუზღუდავად ათვისება და დაფარვა. საკრედიტო ხაზის ვადის ამოწურვისას კი დავალიანება სრულად უნდა იქნას დაფარული. საკრედიტო ხაზისთვის გათვალისწინებული პროცენტი გამოყენებულ თანხასა და პერიოდზე ირიცხება. თუმცა, ზოგჯერ პროცენტი შეიძლება აუთვისებელ თანხასაც დაერიცხოს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ის ათვისებულ თანხაზე დარიცხულ პროცენტზე უფრო ნაკლებია.

**ფიქსირებული და ინდექსირებული (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთები**

**ვალუტის კურსის რეკლიმენტების რისკი**

თუ თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმა 200 000 ლარს აღემატება, შეგიძლიათ სესხი უცხოური ვალუტითაც აიღოთ. ეს თქვენი ბიზნესისთვის რისკის შემცველი იქნება იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადები მხოლოდ ლარშია. უცხოური ვალუტის გამყარების შემთხვევაში, სესხზე გადასახდელი ვალუტის ყიდვისას უფრო მეტი ლარის გადახდა მოგიწევთ. ასეთი რისკი ერთგვარად არ არის, იგი სესხის სრულად დაფარვამდე ნარჩუნდება. ამიტომ, როდესაც სესხის აღებას უცხოური ვალუტით გეგმავთ, გაითვალისწინეთ ეს რისკი. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის“ (EFSE) განვითარების პროგრამის მიერ მომზადებული ბროშურა უცხოურ ვალუტაში სესხებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასების შესახებ (იხ.: [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/efse/EFSE\\_broschure\\_geo.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/efse/EFSE_broschure_geo.pdf)).


**საპროცენტო განაკვეთი**

ფინანსური ორგანიზაცია საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას სესხის ღირებულებას და იმ რისკებს (კრძოდ, ეკონომიკური რყევები, ვალუტის კურსის ცვალებადობა, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მდგომარეობა, ბიზნესის ინდივიდუალური რისკები და ა. შ.) ითვალისწინებს, რომელთა გამოც თქვენმა ბიზნესსაქმიანობამ შესაძლოა ვერ მოახერხოს სესხის მომსახურება. როდესაც ფინანსური ინსტიტუტი ბიზნესის ინდივიდუალურ რისკებს აფასებს, იგი შეისწავლის ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას (საქმიანობის ხანგრძლივობას, მომგებიანობას, ლიკვიდურობას და ა. შ.), საკრედიტო ისტორიას, შეთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხს და ფინანსურ ორგანიზაციებთან თქვენი ურთიერთობის ისტორიას აფასებს. რაც უფრო სტაბილურია თქვენი ბიზნესი, დადებითია თქვენი საკრედიტო ისტორია, ძვირადღირებული და ლიკვიდურია შეთავაზებული უზრუნველყოფა და სტაბილურია თქვენი ურთიერთობა ფინანსურ ორგანიზაციებთან, მით უფრო მისაღები იქნება თქვენი ბიზნესისთვის შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთი.

**ტერმინთა განმარტება:**

**ფიქსირებული** საპროცენტო განაკვეთი — საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ იცვლება სესხის მთელი ვადის განმავლობაში. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სესხის აღების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი სესხის გაცემის მხარეს რჩება, რომელიც ამ რისკს საპროცენტო განაკვეთში ითვალისწინებს, რის გამოც სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ინდექსირებული, ანუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში;

**ინდექსირებული, ანუ ცვლადი** საპროცენტო განაკვეთი — საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიმდრეკილია რომელიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი ხშირად მიმდრეკილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე, უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის კი საერთაშორისო საჯარო ინდექსები გამოიყენება. ინდექსირებულ განაკვეთთან სესხის პირობის თანახმად, საჯარო ინდექსის ცვლილების შესაბამისად სესხის პროცენტიც იცვლება, რაც ავტომატურად ცვლის სასესხო შენატანებს. პროცენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს იმის მიხედვით, იზრდება შესაბამისი საჯარო ინდექსის განაკვეთი თუ მცირდება.



**ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები:**

- სასესხო ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი;
- სასესხო შენატანები ერთი და იმავე მოცულობისაა სესხის მთელი ვადის განმავლობაში;
- თუ თქვენ აირჩიეთ სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, თქვენი ყოველთვიური შენატანი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში იქნებოდა და პირიქით. მაგალითად, თუ გქონდათ შესაძლებლობა არჩევანი გაგვეკეთებინათ ფიქსირებულ 9%-იან სესხსა და ინდექსს (მაგალითად, რეფინანსირების განაკვეთს) +2%-იან სესხს შორის, მაშინ როცა ამ ინდექსის მნიშვნელობა იყო 7%, თუ გარკვეული დროის შემდეგ ინდექსის მნიშვნელობა შემცირდა 6%-მდე, თუ თქვენ აირჩიეთ სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, სესხისთვის პროცენტის სახით კვლავ 9%-ის გადახდა მოგიწევთ, მაშინ როცა ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის არჩევასა გადასახდელი გექნებოდათ 8%.

**ინდექსირებული. ანუ წვლილი საპროცენტო განაკვეთის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები:**

- ხელშეკრულების გაფორმების მომენტში საჯარო ინდექსზე მიბმული საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, უფრო დაბალია, ვიდრე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი;
- საჯარო ინდექსის შემცირების ან გაზრდის შემთხვევაში თქვენი სასესხო შენატანები შეიცვლება და შესაძლებელია სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული თანხა იყოს, რაც შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გაითვალისწინოთ;
- თუ თქვენ აირჩიეთ ინდექსირებულ განაკვეთიანი სესხი და საჯარო ინდექსის საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა, თქვენი ყოველთვიური სასესხო შენატანი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხის შემთხვევაში იქნებოდა და პირიქით. მაგალითად, თუ გქონდათ შესაძლებლობა არჩევანი გაგვეკეთებინათ ფიქსირებულ 9%-იან სესხსა და ინდექსს (მაგალითად, რეფინანსირების განაკვეთს) +2%-იან სესხს შორის, მაშინ როცა ამ ინდექსის მნიშვნელობა იყო 7%, თუ გარკვეული დროის შემდეგ ინდექსის მნიშვნელობა გაიზარდა 8%-მდე, თუ თქვენ აირჩიეთ სესხი ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით, სესხისთვის პროცენტის სახით უკვე 10%-ის გადახდა მოგიწევთ, მაშინ როცა ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის არჩევასა გადასახდელი გექნებოდათ კვლავ 9%.

სესხის საპროცენტო განაკვეთების შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და კონსულტაციის მისაღებად მიმართეთ ფინანსურ ორგანიზაციებს.

**მნიშვნელოვანია იყოფით:**

**რას ნიშნავს ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები?**

**ნომინალური საპროცენტი განაკვეთი** არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მითითებულია სასესხო ხელშეკრულებაში და ასახავს მხოლოდ სესხის ძირ თანხაზე დარიცხულ პროცენტს და არ ითვალისწინებს სესხის აღებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს (სხვადასხვა სახის საკომისიო, დაზღვევის ხარჯი და ა. შ.).

**ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია სესხის აღებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯი და ამ ხარჯების გაწევის პერიოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, გარდა ნომინალური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად დარიცხული საპროცენტო ხარჯებისა, მოიცავს სესხის აღებასთან დაკავშირებულ ისეთ სავალდებულო ხარჯებს, როგორცაა მაგალითად, სესხის დამტკიცების საკომისიო, სესხის განაღდებას საკომისიო, აუცილებელი დაზღვევის ხარჯები, სანოტარო

ხარჯები, უძრავი ქონების იპოთეკის რეგისტრაციის ხარჯი და ა. შ.

**ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უმრავლეს შემთხვევაში ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე მაღალია**, ვინაიდან მასში გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული ხარჯები და მათი დაფარვის პერიოდულობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით დადგენილია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფინანსური ხარჯების ლიმიტები.

ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მოგაწოდოთ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ხელშეკრულების ყველა პირობის, მათ შორის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მოცულობის, და ყველა ფინანსური ხარჯის შესახებ. სესხის აღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვეთ ხელშეკრულების ნიმუში, დეტალური ინფორმაცია და შექმლებისდაგვარად სხვადასხვა შეთავაზებაც შეუდარეთ ერთმანეთს.



რა უნდა გავითვალისწინოთ სესხის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვისას?

**რჩევა 1.**

ერთმანეთს შეუდარეთ ფინანსური ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სესხების ეფექტური და არა მხოლოდ ნომინალური საპროცენტო განაკვეთები.

მსესხებლები, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებენ ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე, მაგრამ იგი არ მოიცავს სესხთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გადახდის გრაფიკში შესაძლოა არ იყოს მითითებული სესხთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (მაგალითად, უძრავი ქონების ან მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის ხარჯი, სესხისა და მიმდინარე ანგარიშის მომსახურების საკომისიო, უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის ხარჯი, სხვა ადმინისტრაციული ხარჯები და ა. შ.). ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში კი ყველა ხარჯი გათვალისწინებულია; შესაბამისად, სესხის რეალურ ღირებულებებზე უფრო ზუსტად სწორედ იგი მიაჩნდება. სესხის აღებისას ყურადღება მიაქციეთ სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის შეთავაზებებში მითითებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს და გადაწყვეტილება ამ შედარების საფუძველზე მიიღეთ.

**რჩევა 2.**

სესხის გადახდის გრაფიკის შეჩვენებისას გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა გრაფიკით სესხის დაფარვა, როგორც წესი, განსხვავებული საპროცენტო ხარჯსა და გულისხმობს.

ფერმერული მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად სეზონურია, ამიტომ სესხის გადახდის გრაფიკი ფერმერთათვის მნიშვნელოვანი საკითხია. სასესხო ხელშეკრულების გაფორმებამდე მნიშვნელოვანია, ზუსტად იცოდეთ, შეთავაზებული სესხის პირობები რა ზემოქმედებას მოახდენს, ერთი მხრივ, თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადების მოძრაობაზე, მეორე მხრივ კი გადასახდელი საპროცენტო ხარჯის მოცულობაზე. ერთი შეხედვით, შესაძლოა მსესხებელს ეჩივნოს სესხის გადახდა წლის ბოლოს, მოსავლის აღების შემდგომ. თუმცა, რამდენადაც ვადის ბოლომდე სესხის ძირითადი თანხა არ მცირდება, სესხის ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული

პროცენტის ვადის ბოლოს მთლიანი დაფარვა უფრო მაღალ საპროცენტო ხარჯთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე ძირითადი თანხის პერიოდული შემცირების შემთხვევაში. მეორე მხრივ, თუ თქვენ ისეთ სასესხო გრაფიკს შეარჩევთ, რომლის მიხედვით გადახდის პერიოდულობა უფრო ხშირია, ეს საბოლოოდ სესხზე გადასახდელი საპროცენტო ხარჯების შემცირებას გამოიწვევს, თუმცა ამ ალტერნატივაზე არჩევანის გაკეთებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას, რამდენად არის შესაძლებელი თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადების გათვალისწინებით გადახდის ასეთი გრაფიკის დაცვა.

**რჩევა 3.**

დაგეგმეთ და წინასწარ განსაზღვრეთ ზიზნესსესხის მიღების დრო, რათა იგი თქვენი ზიზნესის დაფინანსების საჭიროების პერიოდს დაემთხვას.


ბიზნესგარეშე შესაძლოა მოულოდნელად შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზის გამო, ამიტომ წინასწარ განსაზღვრეთ ბიზნესსესხის მიღების შესაძლო დრო, რათა თქვენი ბიზნესსაჭიროებები დროულად დააფინანსოთ. მაგალითად, თუ თქვენ გესაჭიროებათ სათესლე მასალის შექმნის დაფინანსება, გაითვალისწინეთ, რომ სესხის აღების პერიოდი დაემთხვეს თესვის პერიოდს. გაითვალისწინეთ, რომ ფინანსური ორგანიზაციების მიერ ბიზნესსესხის განაცხადის განხილვასა და სესხის გაცემას გარკვეული დრო სჭირდება. ვადები, როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაციების მიხედვით განსხვავებულია და ის სესხის მოცულობასა და მიზნობრიობაზე, მეწარმის ფინანსური ანგარიშგებების მოწესრიგებულობასა და რიცხვს გარემოებებზე დამოკიდებულია.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ სესხის მიღება როგორც მსესხებლის, ისე საფინანსო ინსტიტუტის ძალისხმევას მოითხოვს. ერთი მხრივ, მსესხებელი წარადგენს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ფინანსურ ინფორმაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური ორგანიზაცია სწავლობს და აანალიზებს წარდგენილ ინფორმაციას. იმისთვის, რომ სესხი უმოკლეს ვადაში მიიღოთ, საჭირო დოკუმენტები წინასწარ მოამზადეთ და მოაწესრიგეთ. ამასთანავე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ფინანსური ორგანიზაცია განსაზღვრავს სესხის დამტკიცებიდან მის ათვისებამდე სესხზე შეთავაზებული პირობების მოქმედების პერიოდს, რაც იმას ნიშნავს, რომ სესხის დამტკიცების მომენტიდან მის გატანამდე თქვენ გაქვთ გარკვეული დრო, რაც შესაძლებლობას გაძლევთ, უფრო მოქნილად დაგეგმოთ ინვესტიციის განხორციელება.

## როგორ მოარგოთ სესხის ვადა ზიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

ბიზნესის მართვისას ზოგჯერ გიწევთ უმოკლეს ვადაში გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, მიწის ნაკვეთი, რომელიც თქვენ საქმიანობის გაფართოებისთვის გინდათ, მისმა მფლობელმა გასაყიდად გამოიტანა და სანამ ამ ნაკვეთით სხვა მყიდველი დაინტერესებულა, თქვენ გაქვთ ძალიან ცოტა დრო მის შესაძენად. როდესაც მსგავსი შესაძლებლობა ჩნდება, ფინანსური ორგანიზაციებისგან მცირე ვადაში სესხის მიღება მარტივი არ არის. ამიტომ გიწევთ ბიზნესიდან საბრუნავი თანხის ამოღება და ძირითადი საშუალებების — მიწის ნაკვეთის ყიდვა. ამ ოპერაციის შედეგად გიმცირდებათ საბრუნავი კაპიტალი. გარკვეული დროის შემდეგ ბიზნესსაქმიანობის სრულყოფილად განსახორციელებლად დაგჭირდებათ საბრუნავი კაპიტალისთვის საჭირო თანხები, დაიწყებთ მისი დაფინანსების წყაროების ძებნას და, როგორც წესი, მიმართავთ საფინანსო ინსტიტუტებს, რათა საბრუნავი საშუალებებისთვის მიიღოთ სესხი. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თქვენ ძირითადი საშუალება — მიწის ნაკვეთი საბრუნავი საშუალების დასაფინანსებელი სესხით შეიძინეთ, მაშინ, როცა შეგეძლოთ, ძირითადი საშუალების დასაფინანსებლად განკუთვნილი გრძელვადიანი სესხით გესარგებლათ.

გემოთ აღწერილ სიტუაციას „საბრუნავი თანხების შემცირებას“ უწოდებენ. მსგავსი ვითარება არასასურველია ბიზნესისთვის, რადგან საბრუნავი თანხები ის თანხებია, რომლებმაც ბიზნესში უნდა იტრიალოს; ისინი საწარმოო რესურსებიდან უნდა გადაიქცეს სარეალიზაციო პროდუქციად (მაგალითად, მარცვლეულად), შემდეგ — ფულად და ბოლოს — ისევ საწარმოო რესურსებად, რათა პროდუქციის ახალ საწარმოო ციკლში ჩაშვება (მარცვლეულის შემთხვევაში, მისი ხელახლა დათესვა) შეძლოთ. ასე რომ, თუ საბრუნავი თანხები შეგიმცირდათ, შეიძლება აღარ გქონდეთ საკმარისი სახსრები ახალი საწარმოო ციკლისთვის. ეს გარემოება ზრდის წნეხს თქვენს ბიზნესზე და მსგავსი სიტუაციის დროს სასურველია, მისი გადაჭრის გზები თქვენს მომსახურე ფინანსურ ორგანიზაციასთან განიხილოთ. იმისათვის, რომ მომავალში გემოაღნიშნული პრობლემები, ასევე, უკვე აღებული სესხის დაფარვის პირობების ცვლილებებთან დაკავშირებული უხერხულობები არ წარმოგვევთ, უმჯობესია საბრუნავი კაპიტალის დანაკლისი, რომელიც ძირითადი საშუალებების საბრუნავი თანხებით შექენამ გამოიწვია, გრძელვადიანი სესხით შეავსოთ.




## საბალანსო უწყისის ნიმუში დასაბალანსებელი ვალდებულებებით

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ფერმერმა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შეფასების მიზნით საბალანსო უწყისი შეადგინა და აღმოაჩინა, რომ მის ბიზნესს მიმდინარე აქტივებთან შედარებით დიდი მოცულობის მოკლევადიანი ვალდებულებები აქვს. მან რამდენიმე მოკლევადიანი სესხით ისარგებლა, რომლებიც ძირითადი საშუალებების შესაძენად გამოიყენა. თუ მის ბიზნესში არსებული მოკლევადიანი

რესურსები ისე ამოიწურება, რომ ფერმერი ვერ მოახერხებს მათ რეფინანსირებას, შესაძლებელია მას პრობლემა შეექმნას – ვერ მოიძიოს შემდგომი მოსავლის მოყვანისთვის საკმარისი თანხები. ფერმერმა სიტუაციის ანალიზისთვის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოიყენა, რომელიც აქტივების ლიკვიდურობის ზოგადი შეფასების საშუალებას იძლევა და აჩვენებს, მიმდინარე ვალდებულებებზე რა რაოდენობის მიმდინარე აქტივები მოდის. მიღებულია, რომ კომპანიის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტი უნდა იყოს, რადგან ბიზნესს უნდა ჰქონდეს საკმარისი მოკლევადიანი სახსრები იმისათვის, რომ სულ მცირე მოკლევადიანი ვალდებულებები გაისტუმროს. თუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, ბიზნესსაქმიანობას მომავალში შეიძლება საწარმოო ციკლის დაფინანსების კუთხით გარკვეული პრობლემები შეექმნას.

$$\text{მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$



საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	3 000	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	40 000
მარცვლეული	70 000	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>74 600</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>85 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	40 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	0
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>50 000</b>
კომბაინი	60 000	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>135 000</b>
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	58 100
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>118 500</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>58 100</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>193 100</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>193 100</b>

\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

ამ შემთხვევაში ფერმერმა მოკლევადიანი სესხით – 40 000 ლარით იყიდა მიწის ნაკვეთი და მისი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,87-ს გაუტოლდა.

$$\text{მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{74\ 600}{85\ 000} = 0.87$$

საბალანსო უწყისის ნიმუში  
დაბალანსებული ვალდებულებებით

ფერმერმა მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოთვლის შემდგომ დაადგინა, რომ გრძელვადიანი ვალდებულებებით ძირითადი



საშუალებების შეძენის შემთხვევაში მას ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემა აღარ წარმოექმნება და არ მოუწევს ძირითადი საშუალების შესაძენად არსებული სესხის მოკლე ვადაში და დიდი შენატანებით დაფარვა, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებს მომდევნო საწარმოო ციკლის რეფინანსირებას.

მსგავსი სიტუაციის წარმოქმნისას სასურველია ფერმერმა ფინანსურ ორგანიზაციას მიმართოს და მისი დახმარებით მოახდინოს მოკლევადიანი ვალდებულების გრძელვადიანი ვალდებულებით ჩანაცვლება.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	3 000	მომწოდებლების ვალი	45 000
ნედლეული (საწვავი, სასუქები)	1 600	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	0
მარცვლეული	70 000	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>74 600</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>45 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	40 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	40 000
ტრაქტორი	15 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 000
მისაბმელი	3 500	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>90 000</b>
კომბაინი	60 000	<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>135 000</b>
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	58 100
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>118 500</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>58 100</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>193 100</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>193 100</b>

\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი =  $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{74\ 600}{45\ 000} = 1.7$

ამდენად, თუ თქვენ გრძელვადიანი აქტივის იმ თანხით შეძენა მოგიწიათ, რომლითაც მიმდინარე აქტივები უნდა დაგეფინანსებინათ, ასეთ შემთხვევაში სასურველია ფინანსურ ორგანიზაციას მიმართოთ, აუხსნათ შექმნილი მდგომარეობა და მოკლევადიანი ვალდებულები გრძელვადიანი ვალდებულებით მისი დახმარებით ჩაანაცვლოთ.

გაითვალისწინეთ:

ყურადღება

შეეცადეთ სესხის ტიპები და მათი დაფარვის ვადები თქვენს ბიზნის საჭიროებებს შეუსაბამოთ. კერძოდ, საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად აღებული სესხის დაფარვის ვადა შეუსაბამეთ ერთ საწარმოო ციკლს, ხოლო ძირითადი საშუალების დასაფინანსებლად აღებული სესხის დაფარვის ვადა — მისი გამოყენების სასიცოცხლო ციკლს.

## ნაბიჯი 4: შეარჩიეთ სესხის გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

როდესაც ზუსტად განსაზღვრავთ, რა მოცულობის დაფინანსება გჭირდებათ თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმის განსახორციელებლად, დადგენთ დაფინანსების წყაროს და შეარჩევთ სესხის ტიპს, საპროცენტო განაკვეთთან ერთად თქვენს საფინანსო ინსტიტუტთან სესხის გადახდის გრაფიკი შეათანხმეთ. მნიშვნელოვანია, რომ სესხის გადახდის გრაფიკი შეესაბამებოდეს თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადების მოძრაობას. სესხის გადახდის გრაფიკის შეთანხმებისას ყურადსაღებია სამი ძირითადი ასპექტი:

**სასესხო შენატანების განრიგი** — მნიშვნელოვანია, სასესხო შენატანები ისე იყოს დაგეგმილი, რომ შეესაბამებოდეს თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების შემოდინების პერიოდს. შესაძლოა, ფინანსურმა ორგანიზაციამ სესხის გადახდის სტანდარტული – ყოველთვიური გრაფიკი შემოგთავაზოთ იმ ვარაუდით, რომ გადახდებს შორის პერიოდში თქვენ გარკვეული შემოსავალი გექნებათ. მაგრამ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სეზონურობიდან გამომდინარე, შემოსავლები არასტაბილურია და შესაძლოა ყოველთვიურ სასესხო შენატანებთან დაკავშირებით პრობლემა შეგექმნათ. ის ფინანსური ორგანიზაცია, რომელმაც კარგად იცის თქვენი საქმიანობის თავისებურებები და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ცვალებადობა, როგორც წესი, სესხის დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, სასესხო შენატანების ისეთ განრიგს გთავაზობთ, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას ზუსტად შეესაბამება;

### ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის

რაც უფრო მზარდია თქვენი ფერმერული მეურნეობა, მით უფრო მნიშვნელოვანია საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და წარმოების ხარჯების შემცირება. აღნიშნული ეფექტიანობის ზრდის მისაღწევად სასურველია ენერგოეფექტიანი ინვესტიციების განხორციელება. კერძოდ, თუ თქვენ სასათბურე მეურნეობა გაქვთ და პროდუქციის ზამთარში მოყვანა გსურთ, უმჯობესია, ინვესტიცია გათბობის ისეთი სისტემის დასაყენებლად განახორციელოთ, რომელიც დაგიზოგავთ ხარჯებს (მაგალითად, შეიძინოთ ღუმელი, რომლის საწვავად გამოიყენება როგორც მყარი საწვავი, ისე ბიომასა, ნაჭუჭი, ნახერხი და ა.შ.). თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ, სათბური ისე მოაწყოთ, რომ ზამთარში მის გათბობაზე გაწეული ხარჯები საგრძნობლად შემცირდეთ (კერძოდ, სათბურს გადააფაროთ სპეციალიზებული ცელოფანის ორმაგი ფირი, რომლის შიგნითაც ჰაერი იტუმბება, რაც ხელს უშლის

**სასესხო შენატანები** — მნიშვნელოვანია, ისე შეძლოთ დადგენილი სასესხო შენატანების გადახდა, რომ მოსავლის რეალიზაციის შემდგომ გქონდეთ საკმარისი სახსრები როგორც ყველა ვალდებულების დასაფარავად, ისე მომავალი წლის მოსავლის დასათესად და სხვა დამატებითი ხარჯების გასასტუმრებლად. გრძელვადიანი სესხის აღების შემთხვევაში ეცადეთ, ყოველთვიურად, ვალდებულების გასტუმრების შემდგომ გააკეთოთ მცირე დანაზოგი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გქონდეთ საკმარისი თანხა მიმდინარე და სამომავლო საჭიროებების დასაფინანსებლად;

**ვალუტა** — იმისათვის, რომ თქვენს ბიზნესს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნას, წინასწარ განსაზღვრეთ დასაფინანსებელი ვალუტა. უმჯობესია, სესხის ვალუტა და თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების ვალუტა ერთი და იგივე იყოს, ამით თქვენ თავიდან აიცილებთ კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მიერ შესაძენი ტექნიკის ან სხვა აქტივის ღირებულება შეიძლება მითითებული იყოს უცხოურ ვალუტაში, თუ თქვენ შემოსავალი ლარში — ეროვნულ ვალუტაში გაქვთ, უმჯობესია სესხი აიღოთ ლარით (შესაბამისი ეკვივალენტით), რადგან ეს სესხი გრაფიკის შესაბამისად თქვენი ბიზნესიდან სწორედ ეროვნული ვალუტით მიღებული შემოსავლით უნდა დაფაროთ.

სათბურიდან სითბოს დაკარგვას; ასევე, შეგიძლიათ სათბურს სიცივისგან დამცავი კედელი ამოუშენოთ, რაც ასევე დაცავს მას ზამთარში სითბოს დაკარგვისგან).

მემცენარეობაში მნიშვნელოვანია წყლის ხარჯვის ნორმის შემცირება და წყლის ეფექტიანი გამოყენება. ამის საშუალებას წვეთოვანი მორწყვის სისტემა იძლევა. მებოსტნეები, მეხილეები, სანერგე და სასათბურე მეურნეობების მფლობელები აქტიურად იყენებენ წვეთოვანი მორწყვის მეთოდს და მნიშვნელოვნად ამცირებენ არა მარტო წყლის მოხმარებას, არამედ მცენარის მორწყვასა და გამოკვებაზე გაწეულ ხარჯებსაც.

კიდევ ერთი მაგალითი, როცა ინვესტიციების განხორციელება ეფექტიანად არის შესაძლებელი, ხილის საშრობი მეურნეობაა. თუ თქვენი საწარმო ხილის გასაშრობად ელექტრო ან სხვა ტიპის

ენერჯის იყენებს (გაზი, მყარი საწვავი და ა.შ.), თქვენ შეგიძლიათ ინვესტიცია მზის ენერჯიაზე მომუშავე ხილის საშრობ დანადგარებში განახორციელოთ. ასეთი დანადგარები საგრძნობლად ამცირებენ ხილის შრობის პროცესში გამოყენებული ენერჯის დანახარჯებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, თქვენი საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ხარჯების შესამცირებლად შეგიძლიათ ენერგოეფექტიანი ინვესტიციები განახორციელოთ ისეთი დანადგარებსა თუ მოწყობილობებში, რომლებიც ნაკლებ ელექტროენერჯის მოიხმარს, ან მოაწყობთ განათების სისტემები ენერჯის დამზოგავი ნათურებით. საწარმოს ან საწყობის მშენებლობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ენერგოეფექტიანი მასალები და თბოიზოლაცია, ან მშენებლობა დაგეგმოთ ისე, რომ მზის ნათება და ენერჯია უფრო ეფექტიანად გამოიყენოთ და სხვა.

ფინანსურ ორგანიზაციებში დღევანდელ დღეს ენერგოეფექტური ინვესტიციების დაფინანსების კუთხით ცალკე მიმართულებები არსებობს. ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის დაფინანსება უფრო იაფია. ფინანსური ორგანიზაციები ე. წ. ეკოსესსაც გასცემენ, რომლებიც ბიზნესს ენერგოეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების საშუალებას აძლევს. ე. წ. ეკოსესსის საშუალებით მეწარმეები ზრდიან თავიანთი ბიზნესის კონკურენტუნარიანობას და ამცირებენ გარემოზე უარყოფით გავლენას. ჰკითხეთ თქვენი მომსახურე ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელს, შეუძლია თუ არა შემოგთავაზოთ თქვენი ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული საფინანსო პროდუქტი — ენერგოეფექტიანი ინვესტიცია.

ერთ-ერთი ტენდენცია, რომელიც სოფლის მეურნეობაში მისი ეფექტიანობის გაზრდისთვის იწვევს, არის ისეთი თანამედროვე ტექნიკის გამოყენება, რომელიც შედარებით ნაკლებ საწვავს მოიხმარს. ეს ტენდენცია ცნობილია, როგორც ენერგოეფექტიანობის ინვესტიციები. ამ ინვესტიციების საბოლოო მიზანია, შეამციროს ენერჯის მოხმარება, კერძოდ, განსაზღვრული რაოდენობის პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებულ იქნას იმაზე ნაკლები ენერჯია, ვიდრე იმავე რაოდენობის პროდუქციის ტრადიციულ მეურნეობაში საწარმოებლად არის საჭირო. აღსანიშნავია, რომ საწვავით დაზოგილი თანხები ანაზღაურებს განხორციელებულ ინვესტიციას და გრძელვადიან პერსპექტივაში ამცირებს ხარჯებს. ენერგოეფექტიანობის ინვესტიციები მოიცავს ისეთი ტრაქტორისა და კომბაინის შექმნას, რომლებიც საწვავს ეფექტიანად მოიხმარს, აგრეთვე, მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაფინანსებას.

### ტერმინთა განმარტება:

მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა — ტექნიკა, რომელიც რამდენიმე სახეობის მინდვრის სამუშაოს ერთდროულად ასრულებს. მაგალითად, ერთი აგრეგატის გამოყენებით შესაძლებელია მიწის მოხვნა, კულტივაცია და მასში სასუქის შეტანა, აგრეთვე, შესაძლებელია დათესვა/დარგვა, მიწის შემოყრა და ა.შ. ეს ტექნიკა საწვავს ეფექტიანად მოიხმარს, რადგან ის რამდენიმე სახეობის სამუშაოს ერთდროულად ასრულებს. ეს კი ამცირებს შესაბამისი ტექნიკით მინდვრის შემოვლის რაოდენობას.

### გაითვალისწინეთ:

მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის და რამდენ ფუნქციას ასრულებს ეს ტექნიკა. ამჟამინდელი ფასების გათვალისწინებით, მრავალფუნქციურ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში ინვესტიციის განხორციელება გამართლებულია, თუ ფერმერს 80 ჰექტარი და მეტი მიწის ფართობის მეურნეობა აქვს (შედარებით მცირე მიწის ფართობის შემთხვევაში ენერგოეფექტიანობის მაჩვენებელი დაბალია და ინვესტიციის უკუგება დროში გახანგრძლივებულია).

**პრაქტიკული მაგალითი:**

**მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა**

ფერმერს, რომელსაც ხორბალი 80 ჰექტარ მიწის ფართობზე მოჰყავს, ალტერნატიული მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება სურს, რათა გაზარდოს პროდუქტიულობა და შეამციროს მოხმარებული საწვავის რაოდენობა. აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე ფერმერი მინდორს ოთხკორპუსიანი გუთნით, კულტივატორით, დისკებიანი ფარცხითა და სათესით 4-ჯერ შემოუვლიდა ხოლმე. ამ დროს საწვავის მთლიანი მოხმარება 1 ჰექტარზე იყო 58,4 ლიტრი დიზელი, შესაბამისად, 80 ჰექტარზე — 11 680 ლარამდე ღირებულების საწვავი (თუ გავითვალისწინებთ, რომ დიზელის ფასი 2,50 ლარია).

ფერმერმა გადაწყვიტა 20 000 ლარად შეიძინოს მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელსაც ერთდროულად 3 სახეობის მინდვრის სამუშაოს შესრულება შეუძლია: ხვნა, კულტივაცია და დაფარცხვა. წინანდელისგან განსხვავებით, მინდვრის დამუშავებისას ტრაქტორი მას ახლა 2-ჯერ შემოუვლის: ჯერ მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და ბოლოს სათესით, რასაც 1 ჰექტარზე 34,9 ლიტრი დიზელი დასჭირდება, შესაბამისად, 80 ჰექტარზე — 6 980 ლარის ღირებულების საწვავი.

ამდენად, მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით ფერმერი საწვავზე 4 700 ლარს დაზოგავს. თუ გავითვალისწინებთ ამ ტექნიკის ფასსა და საწვავზე წლიურ დანაზოგს, აღნიშნული ტექნიკის შესაძენად განხორციელებული ინვესტიციის უკუგება დაახლოებით 4 წელიწადში მოხდება. ამასთანავე, საწვავის თანხის გარდა, ფერმერს დროც დაეზოგება, რადგან შემცირდება ტრაქტორით მინდვრის შემოვლის რაოდენობა.

მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებამდე 1 ჰექტარზე იხარჯებოდა 58,4 ლიტრი დიზელი;

მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების შემდეგ 1 ჰექტარზე დაიხარჯა 34,9 ლიტრი დიზელი


**დაანგარიშება**

მინდვრის სამუშაოები	ტრადიციული დამუშავების მეთოდები	„ერთი გავლის პრინციპით“ მომუშავე ტექნიკის გამოყენება
საწვავის მოხმარება (ლ/ჰა)	58,4	34,9
ფერმის ფართობი (ჰა)	80	
სულ საწვავის მოხმარება (ლ)	4 672	2 792
დიზელის საშუალო ფასი (ლ)	2,5	
საწვავის წლიური ხარჯი (ლ)	11 680	6 980
წლიური ენერჯის დანაზოგი (ლ)	4 700	
ინვესტიციის ხარჯი (ლ)	20 000	
ტექნიკაში გადახდილი თანხის უკუგების პერიოდი (წ.)	4,2	

**მნიშვნელოვანია იყოფეთ:**

**მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სხვა სარგებელი**

თანამედროვე მრავალფუნქციურ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, გარდა საწვავის დაზოგვისა, შეიძლება სხვა სარგებელიც ჰქონდეს, მაგალითად, სასუქისა და თესლის უფრო ზუსტი განაწილება, რაც საწარმოო რესურსებს ზოგავს და შემოსავალს ზრდის. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაციისა და სხვა, დამატებითი სარგებლის მისაღებად, კონსულტაცია გაიარეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სანდო მომწოდებელთან.



### პრაქტიკული ზიზნესმაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ზელოს აშენება

ფერმერი 15 წელია სამეურნეო საქმიანობას ეწევა. მას 170 ჰექტარ (აქედან საკუთარია 50 ჰექტარი, ხოლო იჯარით აღებულია 120 ჰექტარი) მიწის ფართობზე მოჰყავს მარცვლეული – სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა და ქერი.

#### ნაბიჯი 1.

გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ზიზნესის განვითარებისთვის

ფერმერი ძირითადი საშუალებების დაფინანსების წყაროებს ეძებს. მისი ბიზნესის განვითარების გეგმა ორ მიმართულებას მოიცავს – მას სურს, 100 000 ლარად იყიდოს ტრაქტორი და 200 ტონა მარცვლეულის შესანახად ბელელი ააშენოს, სადაც მოსავლის ნაწილს შეინახავს; ბელლის მშენებლობას 120 000 ლარი დასჭირდება. ამდენად, ფერმერს ბიზნესის განვითარების გეგმის სრულად განხორციელებისთვის სულ 220 000 ლარი სჭირდება.

მან 220 000 ლარის მოცულობის სესხის აღების მიზნით ორ სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციას მიმართა და მათი შეთავაზებების პირობები ერთმანეთს შეუდარა.

#### ▶ №1 ბანკის შეთავაზება

სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი - ფიქსირებული 20%:

სესხის ვადა - 5 წელი:

სესხის გაცემის საკომისიო - 1%:

პროცენტის გადახდა - ყოველთვიურად:

სესხის ძირი თანხის გადახდა პროცენტის თანხასთან ერთად მოხდება მოსავლის აღების შემდეგ, აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, წელიწადში 5-ჯერ, 5 წლის განმავლობაში:

სესხის უზრუნველყოფა - უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ინფორმაცია სესხის დაფარვის შესახებ

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 22.5%:

ყოველთვიური შენატანის გადახდა:

- საშელავათო პერიოდის განმავლობაში გადაიხდება მხოლოდ საპროცენტო ხარჯი:

- სხვა პერიოდში - სესხის ძირ თანხას - 8 800 ლარს დამატებული საპროცენტო ხარჯი:

საპროცენტო შენატანები მერიდებულ სესხის ძირი თანხის შემირებასთან ერთად, 5 წლის განმავლობაში გადასახდელი მთლიანი თანხაა 341 006 ლარი: აქედან საპროცენტო ხარჯია 121 006 ლარი.



### ▶ № 2 ზანკის შეთავაზება

სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი - ფიქსირებული 22%:

სესხის ვადა - 5 წელი:

სესხის გარემის საკომისიო - 1.5%:

პროცენტის გადახდა - ყოველთვიურად:

სესხის ძირი თანხის გადახდა მოხდება წელიწადში ერთხელ (დეკემბერში):

სესხის უზრუნველყოფა - უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ინფორმაცია სესხის დაფარვის შესახებ:

ფექტური საპროცენტო განაკვეთი - 25,3 %:

ყოველთვიური შენატანის გადახდა:

საშლავათი პერიოდის განმავლობაში გადაიხდება მხოლოდ საპროცენტო ხარჯი, ხოლო დეკემბერში - 47 978,1 ლარი: სესხის ძირ თანხას - 44 000 ლარს დამატებული საპროცენტო ხარჯი - 3 978,1 ლარი:

საპროცენტო შენატანები მირიდება სესხის ძირი თანხის შემირებნასთან ერთად. 5 წლის განმავლობაში მთლიანი დასაბრუნებელი თანხაა 361 169 ლარი. აქედან საპროცენტო ხარჯია 141 169 ლარი, ხოლო სესხის ძირი თანხა - 220 000 ლარი.

**ნაზიკი 2. შეფასეთ ოქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებლად**

მას შემდეგ, რაც ფერმერმა კონკრეტული საინვესტიციო გეგმა აირჩია, მან უნდა გამოთვალოს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, რათა დარწმუნდეს, რომ მისი ბიზნესისთვის სესხება ნაკლებრისკიანია.

**საბალანსო უწყისი**

ფერმერმა უკვე შეაფასა თავისი მიმდინარე საბალანსო მდგომარეობა, საბუღალტრო მონაცემებისა და საკუთარი შეფასებების საფუძველზე გამოთვალა ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, რათა სესხებასთან დაკავშირებით დაედგინა თავისი ბიზნესის შესაძლებლობები.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	40 000	მოწოდებლების ვალი	124 000
ნედლეული (თესლი, სასუქები)	84 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	230 000
დათესილი მარცვლეული	490 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>614 000</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>354 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	66 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	130 000
ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა	580 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	46 000
		<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>176 000</b>
		<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>530 000</b>
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	730 000
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>646 000</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>730 000</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>1 260 000</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>1 260 000</b>

\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

საკუთარი კაპიტალი – 730 000 ლარი.

სულ აქტივები – 1 260 000 ლარი.

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{730000}{1260000} \times 100 = 58\%$$

**ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 58%**

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი რეკომენდებულ 30%-იან მაჩვენებელზე მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ფერმერის ბიზნესს მაღალი რისკის გარეშე შეუძლია აიღოს დამატებითი სესხი.

ახლა ფერმერმა უნდა გამოთვალოს 220 000 ლარის მოცულობის სესხის აღების შემთხვევაში მისი ბიზნესის მოსალოდნელი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი. ამისათვის იგი საბალანსო უწყისის ძირითადი საშუალების განყოფილების ნაწილში მთლიან აქტივებს უმატებს ინვესტიციის ღირებულებას (220 000 ლარს):

- ბეღელი (რადგან ინვესტიცია ბეღელის ასაშენებლად იდება);
- ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა (რადგან ინვესტიცია ტრაქტორში იდება).

ფერმერის ბიზნესის მთლიანი აქტივების ღირებულებაა 1 480 000 ლარი. იგი გრძელვადიანი ვალდებულებების გრაფაში ამატებს 220 000 ლარის მოცულობის სესხს და იღებს მთლიან ვალდებულებებს 750 000 ლარის ოდენობით.

**საბალანსო უწყისი**

ახლა, როდესაც ფერმერმა შეასწორა თავისი საბალანსო უწყისი, მას შეუძლია განსაზღვროს საკუთარი კაპიტალის მოსალოდნელი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

საბალანსო უწყისი*			
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ნაღდი ფული	40 000	მომწოდებლების ვალი	124 000
ნედლეული (თესლი, სასუქები)	84 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	230 000
დათესილი მარცვლეული	490 000	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>614 000</b>	<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>354 000</b>
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
მიწა და სხვა საწარმოო აქტივები	66 000	ფინანსური ორგანიზაციებისგან აღებული გრძელვადიანი სესხები	350 000
ტრაქტორი, კომბაინი და სხვა ტექნიკა	680 000	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	46 000
ბედელი	120 000	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>396 000</b>
		<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>750 000</b>
		კაპიტალი	
		საკუთარი კაპიტალი	730 000
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>866 000</b>	<b>სულ კაპიტალი</b>	<b>730 000</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>1 480 000</b>	<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>1 480 000</b>

\*შენიშვნა: საბალანსო უწყისში თანხები მოცემულია ლარში.

საკუთარი კაპიტალი – 730 000 ლარი.

მთლიანი აქტივების ღირებულება – 1 480 000 ლარი.

ფინანსური  
დამოუკიდებლობის  
კოეფიციენტი

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} = \frac{730000}{1480000} \times 100 = 49\%$$

**მოსალოდნელი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტია 49%**

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის მაჩვენებელი ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ ფინანსურმა ორგანიზაციამ ან სხვა დამფინანსებელმა ინვესტიციის განხორციელება გონივრულად და დაბალრისკიანად მიიჩნიოს. ბიზნესის განვითარების მიზნით 220 000 ლარის მოცულობის სესხის ასაღებად ფერმერს შეუძლია მიმართოს

ფინანსურ ორგანიზაციას. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ფინანსური ორგანიზაცია დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სხვა მრავალ ფაქტორსა და გარემოებასაც აქცევს ყურადღებას, შეისწავლის ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას და გამოითვლის დაფინანსების გეგმის საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ნაბიჯი 3.



შეარჩიეთ ჰირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

მაგალითისთვის განვიხილოთ საფინანსო ინსტიტუტების მიერ ფერმერისთვის შეთავაზებული ორი სასესხო წინადადება.

საპროცენტი განაკვეთი, დაფარვის ვადა და სესხის ღირებულება

ბანკი №1 –ის მიერ შეთავაზებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 22,5%-ს, რაც უკეთესია ბანკი №2 მიერ შეთავაზებულ 25,3% –იან ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. თუმცა, სესხის პირობებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გაცნობის შემდგომ ფერმერმა სესხის გადახდის გრაფიკი განიხილა და აღმოაჩინა, რომ №2 ბანკი მისთვის მისაღებ გრაფიკს სთავაზობს. ამ გარემოებამ გადაწონა №1 ბანკის შედარებით დაბალპროცენტიანი სესხის შეთავაზება. ფერმერისთვის უფრო მნიშვნელოვანია სესხის გადახდის ისეთი გრაფიკის არჩევა, რომელიც საშუალებას მისცემს, მარცვლეული გაყიდოს და მიღებული თანხით სესხი დაფაროს იმ პერიოდში, როდესაც მარცვლეულის ფასი მაღალია.

სასურველი სასესხო შეთავაზების შერჩევის შემდგომ ფერმერმა გადაამოწმა, შეესაბამება თუ არა სესხის დაფარვის ხუთწლიანი ვადა მის საბალანსო მონაცემებს, კერძოდ, რამდენად დაბალანსებულია მისი აქტივები და ვალდებულებები და ხომ არ შეექმნება პრობლემა ლიკვიდურობასთან დაკავშირებით. ფერმერმა გადახედა იმ პროგნოზს, რომელიც მან ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებლად თავისი შესაძლებლობების შეფასებისას (ნაბიჯი 2) გააკეთა. ბიზნესის მიმდინარე ვალდებულებები (354 000 ლარი) არ აჭარბებს მიმდინარე აქტივებს (1 480 000 ლარი), ლიკვიდურობის კოეფიციენტი ერთზე გაცილებით მაღალია. ვინაიდან ლიკვიდურობის კოეფიციენტი მისაღებია, ფერმერი ვარაუდობს, რომ მას არ შეექმნება პრობლემები საბრუნავი კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით და იგი შეძლებს, საჭიროების შემთხვევაში, მომდევნო წლების განმავლობაში დააფინანსოს ბიზნესსაქმიანობის ციკლები.



ორივე ბანკთან გასაუბრების შემდეგ ფერმერმა გადაწყვიტა, უპირატესობა მიანიჭოს №2 ბანკს. მიუხედავად იმისა, რომ №1 ბანკს უფრო დაბალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქვს, №2 ბანკის მიერ შეთავაზებული სესხის გადახდის გრაფიკი ფერმერისთვის უფრო მოსახერხებელია, რადგან, ერთი ტონა მარცვლეულის ფასი დეკემბერში აგვისტოსა და სხვა თვეებთან შედარებით 200 ლარით მეტია. სესხის ძირი თანხის დასაფარავად მან სეზონზე 40 ტონამდე მარცვლეული უნდა გაყიდოს, რაც იმას ნიშნავს, რომ №2 ბანკის მიერ შეთავაზებული სესხის დაფარვის გრაფიკი მას საშუალებას აძლევს, მარცვლეულის დეკემბერში გაყიდვით წელიწადში მიიღოს 8 000 ლარით მეტი შემოსავალი, ხოლო სესხის მთლიანი ვადის განმავლობაში – 40 000 ლარით მეტი შემოსავალი. ბანკების მიერ შეთავაზებულ სესხებს შორის სხვაობა ხუთი წლის განმავლობაში 20 163 ლარია; თავის მხრივ, ხუთი წლის განმავლობაში მარცვლეულის ხელსაყრელ პერიოდში გაყიდვით მიღებული შემოსავალი 40 000 ლარით მეტია, ვიდრე სეზონზე მარცვლეულის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. №2 ბანკის მიერ შეთავაზებული პირობებიდან გამომდინარე, ფერმერს ჯამში დაახლოებით 20 000 ლარით მეტი ფულადი ნაკადის შემოდინება ექნება №2 ბანკის მიერ შეთავაზებული სესხით სარგებლობისას, №1 ბანკის შეთავაზებასთან შედარებით.

ფერმერმა გადაწყვეტილების მიღებისას, სესხის პირობების გარდა, გაითვალისწინა №2 ბანკის წარმომადგენლის კომპეტენცია სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის სფეროში და მისი მზადყოფნა, განიხილოს ფინანსური პრობლემების მოგვარების გზები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სესხის დაფარვის სხვადასხვა შემაფერხებელი გარემოებების დადგომისას.

ნაზიტი 4.

შეარჩიეთ სესხის გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

**შენატანი თანხის მოცულობა**

შენატანი თანხის მოცულობის შემოწმების მიზნით (ანუ რამდენად შეესაბამება სასესხო შენატანების მოცულობები ფულადი შემოდინებების მოცულობებსა და ვადებს) ფერმერი ხელახლა ამოწმებს გასული წლის ხარჯებსა და შემოსავლებს და აჯამებს როგორც მოსავლის რეალიზაციიდან, ისე სხვა წყაროებიდან მიღებულ თანხებს.

გასულ წელს შემოსავლების მაჩვენებელი საშუალო და საშუალოზე დაბალი იყო. ფერმერი გეგმავს, მიმდინარე წელს ყველა კულტურა ერთნაირი ფართობის მიწის ნაკვეთებზე დათესოს. გასული წლის დეკემბერში საქმიანობასთან დაკავშირებული თანხების შემოდინებისა და გადინების დაანგარიშების შემდეგ მას რეინვესტირებისთვის დაახლოებით 85 000 ლარი დარჩა. იმის გათვალისწინებით, რომ სესხის აღების პირველი წლის დეკემბერში შენატანი თანხის ოდენობა 47 978,1 ლარია (მომდევნო წლებში სესხის ძირი თანხის შემცირებასთან ერთად შემცირდება დეკემბერში შენატანი თანხა), ფერმერი ასკვნის, რომ მას თავისუფლად შეუძლია დაფაროს სესხი და, ამასთანავე, ჰქონდეს გარკვეული თანხა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მიმდინარე წელს.

**ვალუტა**

მიუხედავად იმისა, რომ სესხის თანხა 200 000 ლარზე მეტია და ფერმერს შეუძლია სესხი უცხოური ვალუტით აიღოს, მას სესხის აღება ლარში ურჩევნია, ვინაიდან მან გადახედა წინა წლებში თავისი ბიზნესის ფულად ნაკადებს, გაითვალისწინა მიმდინარე წლის საპროგნოზო მონაცემები და დაადგინა, რომ მის ბიზნესში მოძრავი ფულადი ნაკადები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაშია და სესხის სხვა ვალუტით აღების შემთხვევაში შესაძლოა წარმოეშვას კურსთაშორისი სხვაობით სესხზე გადასახდელი თანხის ზრდის რისკი.

**საბოლოო შედეგი**

№ 2 ბანკიდან აღებული სესხი — 220 000 ლარი;

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი — ფიქსირებული 22%;

სესხის ვადა — 5 წელი;

სესხის გაცემის საკომისიო გადასახადი — 1,5%;

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი — 25,3%;

პროცენტის დაფარვა — ყოველთვიურად, სესხის ძირი თანხის დაფარვა საპროცენტო ხარჯთან ერთად ყოველი წლის დეკემბერში;

5 წლის განმავლობაში დასაბრუნებელი მთლიანი თანხა — 361 169 ლარი; აქედან საპროცენტო ხარჯია 141 169 ლარი, ხოლო სესხის ძირი თანხა — 220 000 ლარი;

სესხის უზრუნველყოფა — უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

# სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ოთხი ნაბიჯი

## ნაბიჯი 1. გადაწყვეტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის

- შეარჩიეთ, რა ტიპის სესხი გესაჭიროებათ – სესხი საბრუნავი კაპიტალის გასაზრდელად, სესხი ძირითადი საშუალებისთვის თუ სესხი შერეული მიზნობრიობისთვის;
- გაიგეთ, რომელ ფინანსურ ორგანიზაციებს აქვთ თქვენთვის საინტერესო შეთავაზება;
- გაარკვიეთ, ყველაზე მეტად რომელი საფინანსო პროდუქტი შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას.

## ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებლად

- დარწმუნდით, რომ თქვენს ბიზნესს სესხის გადახდის შესაძლებლობა აქვს;
- გახსოვდეთ, რომ სასურველია, შეინარჩუნოთ 30%-ზე მაღალი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

## ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას

- დარწმუნდით, რომ ფინანსური ორგანიზაცია თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმის შესაბამის საფინანსო პროდუქტს გთავაზობთ;
- გახსოვდეთ, რომ სესხისა და ბიზნესსაჭიროებების დაფინანსების ვადები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს;
- ძირითადი საშუალებების შესაძენად უმჯობესია აიღოთ გრძელვადიანი სესხი, რათა თქვენს ბიზნესს მომავალში ლიკვიდურობის პრობლემა არ შეექმნას.

## ნაბიჯი 4. შეარჩიეთ სესხის გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება

- დარწმუნდით, რომ სესხის გადახდის გრაფიკი თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება, ხოლო სესხი აღებული გაქვთ იმავე ვალუტით, რომელი ვალუტითაც ბიზნესიდან შემოსავალს იღებთ;
- თქვენი საქმიანობის პროგნოზის გაკეთებისას დარწმუნდით, რომ ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ დაგრჩებათ თავისუფალი თანხა მომავალში გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარად და რეინვესტიციის განსახორციელებლად.

## მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

დაფინანსების წყაროების შერჩევას, მიუხედავად თქვენ მიერ გაკეთებული არჩევანისა, გახსოვდეთ, რომ ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას თქვენ გაქვთ უფლებები და პასუხისმგებლობები. მათი ცოდნა დაგეხმარებათ, დაიცვათ თქვენი ინტერესები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“ ფინანსურ ორგანიზაციებს, მათ შორის, კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ავალდებულებს, მომხმარებლებთან ურთიერთობისას დაიცვან სპეციალური წესები, მათ შორის, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა მომხმარებლისთვის ინფორმაციის სრულად, გასაგებ ენაზე და დროულად მიწოდება, მომსახურების რეკლამირება-შეთავაზებისას დაკავშირებული ხარჯების ნათლად წარმოჩენა, ხელშეკრულების გაფორმებისას გარკვეული სტანდარტების დაცვა და სხვა. ეს წესი იცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606>

თქვენი პასუხისმგებლობა გაწერილი იქნება თქვენსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის დადებულ სასესხო ხელშეკრულებაში, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყურადღებით წაიკითხოთ ეს ხელშეკრულება და თუ რომელიმე საკითხი გაუგებარი იქნება თქვენთვის, მის გასარკვევად დასვათ შესაბამისი კითხვები. თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ხელშეკრულების ასლი ზუსტად იმ პირობებით, რა პირობებითაც საბოლოოდ გაფორმდება ხელშეკრულება და, საჭიროების შემთხვევაში, წაიღოთ სახლში ან განიხილოთ იურისტთან ერთად. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე თქვენ უნდა მიიღოთ პასუხი ყველა თქვენს კითხვაზე და გაერკვეთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობასა და ვალდებულებაში, რათა თავიდან აიცილოთ შესაძლო პრობლემები.

### ვის შეგიძლიათ მიმართოთ, თუ ფინანსური ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია გაქვთ?

თუ მიიჩნევთ, რომ ფინანსურმა ორგანიზაციამ სასესხო ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი დაარღვია, ან არ ეთანხმებით თქვენთვის მომსახურების გაწევისას მის მიერ მიღებულ რომელიმე გადაწყვეტილებას, თქვენ უფლება გაქვთ, ამ ფინანსურ ორგანიზაციას თქვენი პრეტენზია განუცხადოთ ზეპირად ან წარუდგინოთ წერილობით როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით და მიიღოთ დასაბუთებული პასუხი. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, მიმართეთ საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას, რომელსაც შეგიძლიათ შეტყობინება გაუგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე [cp@nbg.gov.ge](mailto:cp@nbg.gov.ge) ან დაუკავშირდეთ ცხელ ხაზზე 2-406-406.

## არ დაგავინყდეთ, იკითხოთ

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ ორგანიზაციებს შეუძლიათ არა მხოლოდ სესხის შემოთავაზება, არამედ პასუხისმგებლიანი და გონივრული რჩევების მოცემაც. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე შეგიძლიათ თქვენს საფინანსო ინსტიტუტს შემდეგი კითხვები დაუსვათ:

- შეუძლია თუ არა ფინანსურ ორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის შემომთავაზოს სხვადასხვა საფინანსო პროდუქტი?
- რამდენად შეუძლია ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელს, ჩემთვის უფრო გასაგებად ამიხსნას სხვადასხვა საფინანსო პროდუქტის მიზნები, უპირატესობები და მათთან დაკავშირებული ხარჯები?
- რა კრიტერიუმებს იყენებს ფინანსური ორგანიზაცია ჩემი ბიზნესისთვის კონკრეტული საფინანსო პროდუქტის შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას? ითვალისწინებს თუ არა იგი ჩემს ფინანსურ მდგომარეობას, სესხის უზრუნველყოფას ან ბანკებთან ჩემი ურთიერთობის გამოცდილებას?
- სიღრმისეულად აფასებს თუ არა ფინანსური ორგანიზაცია ჩემს ბიზნესს და მასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და რისკებს, თუ მხოლოდ ბიზნესის ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას?
- რომელი საფინანსო პროდუქტ(ებ)ი შეესაბამება ჩემს ბიზნესს? არსებობს თუ არა კიდევ სხვა კონკრეტული საფინანსო პროდუქტი (მაგალითად, სახელმწიფო პროგრამა, გრანტი ან აგროდაზღვევა), რომელიც ხელმისაწვდომია და საინტერესოა ჩემი ბიზნესისთვის? ჩემი მომსახურე ფინანსური ორგანიზაციის წინადადება უკეთესია თუ სხვა ფინანსური ორგანიზაციების შეთავაზებები? კონკრეტულ შემთხვევაში სასაქონლო კრედიტი ხომ არ სჯობია სესხს?
- ნამდვილად შევისწავლე თუ არა დაფინანსების ყველა შესაძლებლობა ჩემი ბიზნესის განვითარების გეგმის განსახორციელებლად და შევუდარე თუ არა ეს შესაძლებლობები სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის და/ან მომწოდებლის შეთავაზებებს?
- რა ინფორმაციას მოიცავს ხელშეკრულების თავსართი და რა საკომისიოები ახლავს თან სესხის აღებას?
- საჭიროების შემთხვევაში შემიძლია თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს წარვუდგინო პრეტენზია და რა ვადაში მოხდება ჩემი პრეტენზიის განხილვა?
- ჩემი ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის არსებობს თუ არა სესხები ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით? თუ შევადარე და განვიხილე ფიქსირებულ ან ცვლად საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ყველა უპირატესობა და რისკი?
- რამდენია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი თითოეული შეთავაზების შემთხვევაში? რა სავალდებულო ხარჯებია გათვალისწინებული ამ განაკვეთის გაანგარიშებაში გარდა სესხის საპროცენტო სარგებლისა, მაგალითად, მომეთხოვება თუ არა დაზღვევა? თუ მაქვს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ სხვადასხვა შეთავაზება ერთმანეთს შევუდარო და ინფორმირებული არჩევანი გავაკეთო?
- სესხის გადახდის ვადა შეესაბამება თუ არა ჩემს ინვესტიციაზე უკუგების ვადას და მაძლევს თუ არა ჩემი ფინანსური ორგანიზაცია შესაბამის დროს სესხის გადასახდელად?
- მთავაზობს თუ არა ჩემი პარტნიორი ფინანსური ორგანიზაცია სესხის გადახდის ისეთ გრაფიკს, რომელიც ჩემს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება?



## სასარგებლო ბმულები

თუ გსურთ, მეტი შეიტყოთ სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ საფინანსო პროდუქტებსა და განხორციელებულ, მიმდინარე ან განსახორციელებელ პროგრამებზე (პროექტებზე), ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდებს:

[www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) — საქართველოს ეროვნული ბანკი;

[www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) — საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებლის ვებგვერდი;

[www.nbg.gov.ge/index.php?m=706&lng=geo](http://www.nbg.gov.ge/index.php?m=706&lng=geo) — „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“;

- სესხის კალკულატორი;
- ფინანსური უწყისების შაბლონები: მოგება-ზარალის, საბალანსო და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისები;

[www.nbg.gov.ge/cp/uploads/efse/EFSE\\_broschure\\_georgia\\_web.pdf](http://www.nbg.gov.ge/cp/uploads/efse/EFSE_broschure_georgia_web.pdf) — საქართველოს ეროვნული ბანკისა და EFSE DF-ის მიერ მომზადებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მცირე ბიზნესისთვის „მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები“ და ამ სახელმძღვანელოს თანამდევი პრაქტიკული მოდელები;

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403> — საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებების ჩამონათვალი;

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529> — საქართველოში რეგისტრირებული არასაბანკო დაწესებულებების ჩამონათვალი.

<http://enpard.ge/ge/> — სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა;

<http://www.fao.org/georgia> — გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;

<https://ge.usembassy.gov/education-culture/grant-programs/reap/> — ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „REAP“;

<http://zrda.georgiano.org/index.php/ka/> — ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „ზრდა“;

<http://act-impact.com/en/niqasfiudskbj/55-usaid-economic-prosperity-initiative-epi-40-mln-project> — ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „EPI“;

<https://www.chemonics.com/projects/building-economic-opportunities-georgia/> — ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „NEO“;

<http://arda.gov.ge/> — სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;

<http://arda.gov.ge/projects/read/agroinsurance/4:parent> — სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს აგროდაზღვევის პროექტი.



EU4Business



ჯანსაღი ფინანსური გადაწყვეტილებები ბიზნესის  
ნარმატების გასაღებია. გვჯერა, ამ პროცესში  
მოქმედი რჩევები დაგეხმარებათ სწორი  
გადაწყვეტილებების მიღებაში.



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia



სილა  
ცვლილებებისთვის